ოთხშაბათი,
27 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

ოთხშაბათი,
27 ოქტომბერი

46

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

ალექსი და მაცაკ გულიევები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მოულოდნელად გარდაცვალებას თავიანთ დაუვიწყარის ძმის

გეურქ ივანეს ძის გულიევისას.

გამოასვენებენ ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, დილის 10 საათზე. პაულიჩის ქუჩა, № 40 საკუთარ სახლიდან (ავლაბარში) ავეტრანის ეკლესიაში და წირვისა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალავენ ხოჯივანქის სასაფლაოზე.

26 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კონსტანტინე ივანეს ძე სელეზნიოვი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ყოველ თანამოსამსახურეთ განსვენებულის **ქვრივი—ემილია ვიკენტის ასული და დედა—ნინო ეფრემის ასული სელეზნიოვები.** პანაშვიდი გადახდილი იქნება 27 და 28 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე—ნიკოლოოზის ქუჩა, № 78. გამოასვენებენ—პარასკევს, 29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაასაფლავებენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—1)

ქ. ქუთაისში, შაბათს, 30 ოქტომბერს, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი საფიჩხიის ეკლესიაში

თავად იასონ აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ცოლი და შვილები. (3—361—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად

ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქ. 7 სურ., ბარეტისა, თარგ. კანდელაკის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატ. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი. შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანიშვილი და სხვანი.

გმორიგე რეჟისორი ქ. მესხი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დირექცია ამხანაგობისა.

ზადდება წარმოსადგენად: „იულიოს კეისარი“, „ღალატი“ და სხვ. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დღისით:

ა. ი. ბაღდაჭიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ტ. ოუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

დ. ი. კამოიევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

დ. ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. მონინი.—ქალისა, სახებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ექ. მ. ხოპოლოვსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოპოლოვსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მოთავსდებათ. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. ხარჯიანად და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] [illegible] ქუჩიდან-კი 34 B. [illegible]) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—30)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ქ. ნ. თოთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—20)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სნებით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—11)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—21)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა,
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახაზებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ოქტომბერი

სტამბოლი, 25 ოქტომბერი. დობროვოლნი ფლოტის გემმა „იაროსლავ“-მა სრუტეები გაიარა. გემს ნახშირი და წყალი მიაქვს ბალტიის ესკადრისათვის.

კიევი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ნახევარი ჯამაგირი აძლიოს თვით-მმართველობის იმ მოსამსახურეთა ოჯახებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს იქნენ სამსახურში გაწვეულნი. ჯამაგირი მიეცემათ იმ დრომდე, ვიდრე ომი არ გათავდება. ომის შემდეგ მათ ხელ-ახლა მიეცემათ ადგილი.

ლონდონი, 25 ოქტომბერი („რეიტერი“). მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრო კაბინეტის ყველა წევრი.

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: „საჭიროდ ვცანით შორეულ აღმოსავლეთში მომქმედის და ბრძოლის ველის გარეშე მყოფ ჯარის შესავსებად, აგრეთვე ზოგიერთ სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა შესავსებად და ხელ-ახლა შესადგენად, მოვიწვიოთ სათადარიგო ჯარის ოფიცრები და სამკურნალო უწყების სათადარიგო საკლასო მოხელეები,—ამის გამო ვუბრძანეთ სამხედრო მინისტრს, შესაფერი განკარგულება მოახდინოს ჩვენგან აღნიშნულ გეგმისამებრ, ამასთანავე ვბრძანებთ, გაწვეულ იქნას სამსახურში, ამ შემთხვევისათვის არსებულ განსაკუთრებულ წესისამებრ, საჭირო რიცხვი სათადარიგო ჯარის ოფიცრებისა და სამკურნალო უწყების საკლასო მოხელეების პეტერბურგის, ვილნოს, ვარშავის, კიევის, ოდესის, მოსკოვის, ყაზანის და კავკასიის სამხედრო ოლქებიდან და დონის ჯარის ოლქიდან. უმართებულეს სენატს ევალება, მოახდინოს შესაფერი განკარგულება“. ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარის ხელით დაწერილია: „ნიკოლოოზ“. ცარსკოე სელო, 22 ოქტომბერი, 1904 წ.

მუკდენი, 25 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსეთისა და იაპონიის არმიები ბენიაპუზას აღმოსავლეთით მდინარე ლიაოხემდის დგანან. დასავლეთის მხარეს ზოგიერთ ადგილას ისე ახლოს არიან ერთმანეთზე, რომ მათ შორის მხოლოდ ქვის სასროლი მანძილია. ბენიაპუზას ახლოს რუსისა და იაპონიის ჯარის შორის მხოლოდ 400 იარდი მანძილია. ხუანშუნძიში რუსის შუალა ჯარი მდინარეს გაღმა ჰგზავნის მოწინავე სადარაჯო რაზმებს. ორივე არმიები მთელ ფრონტზე თავის პოზიციებს ამაგრებენ. რუსების ან იაპონელების მცირეოდენი მოძრაობაც მოწინააღმდეგეებისაგან სროლას იწვევს, რომელიც მთელ ღამეს გრძელდება. რუსები რკინის გზის გაყოლებით 6-დიუმიან ზარბაზნებს ისვრიან და მეტად აწუხებენ იაპონელებს. რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ თავის პოზიციებს შეინარჩუნებენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ოქტომბერი

პეტერბურგი, 25 ოქტომბერი. რადგან რუსეთმა და ინგლისმა გადასწყვიტეს, დაემორჩილონ ჰააგის კონვენციის დადგენილებებს იმ საკითხებში, რომელიც მეთევზეთა საქმის გამო დანიშნულ საერთაშორისო კომისიის მოღვაწეობას შეეხება, ეხლავე შეუდგნენ შეთანხმების შედგენას. საერთაშორისო კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს ამ შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აღნიშნული იქნება წესი და საზღვრები კომისიის მუშაობისა. ადმირალ კაზნაკოვის დანიშვნა კომისიის წევრად უკვე ეცნობა ინგლისის მთავრობას. ინგლისს ჯერ არ უცნობებია, თუ ვინ დანიშნა თავის წარმომადგენლად კომისიაში. რამწამს ეს ცნობა მოვა, ორივე სახელმწიფოს მთავრობა საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს სთხოვენ, დანიშნონ თავიანთი წარმომადგენელნი.

პეტერბურგი, 25 ოქტომბერი. გამოიცა უმაღლესი ბრძანება. ამ ბრძანების ძალით ჯარში გაწვეულ უნდა იქმნან სათადარიგო ოფიცრები და საკლასო საქმიო მოხელენი შემდეგ სამხედრო ოლქებიდან: პეტერბურგისა, ვილნოსა, ვარშავისა, კიევისა, ოდესისა, მოსკოვისა, ყაზანისა, კავკასიის და დონის ოლქებიდან.

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საერობო ორგანიზაციის მთავარი რწმუნებული იუწყება საერობო რაზმების მოქმედების შესახებ მუკდენის ბრძოლების დროს. მოსკოვის სამი რაზმი ეტაპებზე მუშაობდა. კოსტრომის რაზმმა ვერ მოასწრო საქმის დაწყება. დანარჩენმა 17 რაზმმა მიიღეს 1600 დაჭრილი და ავადმყოფი და 30 ათას კაცს ცხელი კერძი მისცეს. ხარკოვის რაზმმა ხარბინში მოაწყო დროებითი სასადილო, სადაც 15 დღის განმავლობაში 77,350 ცხელი კერძი დაარიგა. ყველა რაზმი ამზადებს სადგომებს საზამთროდ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ოქტომბერი

პარიზი. სამხედრო მინისტრი რჩება. ჰფიქრობენ, რომ მინისტრი შესძლებს 26 ოქტომბერს დაესწროს მინისტრთა საბჭოს სხდომას.

კალუგა. ხელმწიფე იმპერატორის კალუგაში ყოფნის სახსოვრად უმაღლესად ებოძათ პირველ ხარისხის „[illegible]“ გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს, მეორე ხარისხისა—ოთხ კაცს, ხოლო მესამე ხარისხისა—ხუთ კაცს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგაზე დისკოვთან დაეწვა საბუქსირო გემი „ზ. ბასტო“. უბედურება ხალხს არა შემთხვევია-რა. ვოლგაზე მოდის სქელი ყინული. გემებმა მიმოსვლა შეაჩერეს.

სტამბოლი, 25 ოქტომბერი („კორ. ბიურო“). პორტამ გუშინ წერილით პასუხი გასცა შეთანხმებულ სახელმწიფოთა ელჩების ნოტას. პორტა თანახმა არ არის, რომ მაკედონიის ჟანდარმერიაში გადიდებულ იქნას უცხოელ ოფიცერთა რიცხვი. ამ საქმის გამო პორტამ ხელახლა გაგზავნა ქაღალდები ვენასა და პეტერბურგში, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ოფიცერთა რიცხვის გადიდება აუცილებელია და საბოლოოდ გადაწყვეტილია. რუსის ოფიცრები ყველანი სალონიკში უნდა ჩავიდნენ, ხოლო ავსტრიისა—უსკიუბში. თუ ოსმალეთი, რადგანაც ეს ოფიცრები ჩავლენ, ყველასთან პორტის წერილს არ დასდებს და საჭირო განკარგულებას არ მოახდენს, სამხედრო აგენტები აასრულებენ ამ ახალ ოფიცრებით და სხვა ადგილებში დანიშნავენ, მიურცშტეგის პროგრამის გეგმის თანახმად.

კილი, 25 ოქტომბერი („ვოლფი“). მთავარი ყინულის-მტეხელი გემი „ერმაკი“ არა სამხედრო დროშით. ნება მისცეს, მოკლე ვადით შეიყვანონ „ერმაკ“-ი საიმპერატორო დოკში გემის დაზიანებულ ქვედა ნაწილის გასასინჯავად. გემის შესაკეთებლად ნებართვა არ მიუციათ. „ერმაკ“-ი რეველს მიდის.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. სამხედრო მიმომხილველები თითქმის ერთხმად ამბობენ, მალე მანჯურიაში დიდი ამბები მოხდებაო. „რუსკიე ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „ეტყობა იანტაისა და მუკდენს შუა სიჩუმეს მალე მოეღება ბოლო. გენ. კუროპატკინი 17 ოქტომბერს იუწყებოდა: იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდა სამხრეთიდან, ესე იგი ინკოუდან და ფინხუანჩენის მხრიდანაო. გენ. კუროპატკინი უმატებს: იაპონელები მალე იერიშს მოიტანენ რუსის ჯარზეო. აქედან სჩანს, რომ მარშალ ოიამას დიდი მაშველი ჯარი უნდა მოჰსვლოდეს. კერძო დეპეშები იუწყებიან, იაპონელებს 40—60 ათასი კაცი მოუვიდათო. ინგლისური გაზეთებიც იუწყებოდნენ, ოქტომბრის დამდეგს იაპონიიდან სამხედრო მოქმედების ასპარეზზე 75 ათასი კაცი გაისტუმრესო; ამათგან ერთი ნაწილი გენ. ნოგის არმიის მიეშველება, დანარჩენი ზევით მანჯურიაში წავაო. გენ. ნოგის, ალბად, 15 ათასი კაცი გაუგზავნეს; დეპეშამაც აკი მოიტანა ამბავი, იაპონელებმა დალნიში ერთი დივიზია ჯარი გადაიყვანესო; დანარჩენ 60 ათას კაცს მარშალ ოიამას გაუგზავნიდნენ. ადრე „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტიც სწერდა: მარშალმა ოიამამ 1 ოქტომბერს 70 ათასი ჯარის კაცი დაიბარა იაპონიიდანაო. ასე რომ შეიძლება ეს ცნობა სწორე იყოს. მაშასადამე, მარშალ ოიამას 6 დივიზია (60 ათასი კაცი) ახალი ჯარი მიუვიდოდა და ეხლა მანჯურიაში დაახლოვებით 368 ათასი კაცი ეყოლება და 1000-მდე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი ექნება. მე-8 კორპუსისა და მძიმე არტილერიის მოსვლამდე, გენ. კუროპატკინს 345 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს მანჯურიაში და 980 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი უნდა ჰქონდეს. ასე რომ ეხლა იაპონელებს სულ 20—25 ათასი კაცი ეყოლებათ რუსებზე მეტი... ეს არა კმარა იერიშის მისატანად, იერიშის მიმტანს 60-70 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს მოპირდაპირეზე მეტი, რომ რიგზე გამარჯვება შეიძლოს. თუ ამდენი მეტი ჯარი ეყოლება, სარდალს შეუძლიან 100 ათასი კაცი ცალკე გაგზავნოს, მტერს გვერდიდან შემოუაროს და ამავე დროს თავისი უმთავრესი ჯარიც არ დაასუსტოს. რუსის ჯარის გალაშქრება სამხრეთისაკენ იმიტომ გათავდა მარცხით, რომ გენ. კუროპატკინმა დიდი ჯარი გაგზავნა გენ. კუროკის არმიის წინააღმდეგ, თითონ-კი საკმაო ჯარი აღარ დარჩა და გენ. ოკუსა და ნოძუს არმიების იერიშს ვერ გაუძლო. სანამ რუსის უმთავრესი ჯარი გენ. კუროკის არმიას ებრძოდა, გენ. ნოძუმ რუსის ცენტრი (შუა ჯარი) გაარღვია, გენ. ოკუმაც რუსის მარჯვენა ფრთას ჩრდილოეთისაკენ დაახევინა. ბოლოს მთელი რუსის ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია და მდ. შახეს გაღმა გასულიყო... თუ იაპონელები ნამდვილად იერიშის მიტანას აპირობენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მარშალი ოიამა აღარ მოიცდის, სანამ გენ. კუროპატკინს მე-8 კორპუსი და მძიმე არტილერია სრულიად ჩაუვლენ და იანტაისთან და მდინარე შახეზე მოკლულ და დაჭრილ სალდათების (43 ათასი კაცი) ბადლად ახალ სათადარიგო სალდათებს გაუგზავნიან...

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი ნ. ბ. დეპეშით იუწყებ: ხმა დადის, იაპონელებმა მაშველი ჯარი მოიყვანეს, ყუმბარები მოზიდეს და ეხლა ზარბაზნებს უშენენ რუსის პოზიციებს, უნდათ გამოიკვლიონ, სად უფრო სჯობია უმთავრეს იერიშის მიტანაო. იაპონელების უმთავრესი ჯარი რკინის გზის აღმოსავლეთ მხარესა დგას და იქნება ფულინისაკენ (მდ. ხუნხეზე, მუკდენიდან 20 ვერსტის მანძილზე, აღმოსავლეთით) აპირობდეს გალაშქრებას.

პორტ-არტური. „ნოვოსტი დნია“-ს მიმომხილველი გენ. სტესელის უკანასკნელ დეპეშებს არჩევს. მიმომხილველი სწერს: „ამ ორის კვირის განმავლობაში გენ. სტესელი ეს მეორედ იხსენიებს, იაპონელები 11 დიუმიან ყუმბარებს ესვრიან ციხის ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს და თითონ შუა გულ ციხესაო. რასაკვირველია, გენ. სტესელი არა სწერს, თუ რა ზარალი მოუტანა სროლამ ციხეს, მაგრამ მუდმივი ხსენება 11-დიუმიან ზარბაზნებისა არაფერს კეთილს არ მოასწავებს. 1 ოქტომბერს გამოგზავნილ დეპეშაში სწერია, იაპონელები ნელ-ნელა ტრანშეებით უახლოვდებიან ფორტებსაო. ტრანშეია თხრილია; ჯარი თხრილსა სთხრის, ამოღებულ მიწას ფორტის მხარესა ჰყრის, თხრილში დგება და ნელნელა უზარალოდ უახლოვდება მტრის ფორტსა. როგორც წინად, იაპონელებს ეხლაც ყველაზე მეტი თხრილი ციხის ჩრდილოეთ მხარეს, რკინის გზის გასწვრივ, უმთავრესად ერლუნგშანის ფორტის პირდაპირ გაუთხრიათ. რუსის მეციხოვნე ჯარი მუდამ იერიშით მიდის და იაპონელებს მოქმედებას უშლის, მაგრამ ამავე დროს ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელები მალე დიდის იერიშის მიტანას აპირობენ ციხეზე. გენ. სტესელი ტყუილად-კი არა სთხოვს ხელმწიფე იმპერატორს, დამლოცეთ მომავალ ბრძოლისათვისაო. გენ. სტესელის მეორე დეპეშიდან სჩანს, რომ იაპონელები ნამდვილად რკინის გზის პირ-პირ აპირობენ ციხეზე იერიშის მიტანას. ჩრდილოეთ ფორტებზე რომ 4 ოქტომბერს იერიში მიუტანიათ, იაპონელებს არტილერია პალიჩუანთან დაუყენებიათ. პალიჩუანი 2½ ვერსტზეა ერლუნგშანის ფორტიდან. აქედან სჩანს, რომ ოქტომბრის დამდეგს, ყველა უმთავრესი ფორტი ჯერ ისევ რუსების ხელში ყოფილა. იაპონელებმა 4 ოქტომბერს იერიში მიიტანეს რკინის გზის პირად მდებარე ფორტებზე, მაგრამ ვერას გახდნენ. ორიოდე დღის შემდეგ ისევ ზარბაზანი დაუშინეს რუსის ფორტებს და, როგორც კერძო დეპეშები იუწყებოდნენ, ცეცხლი გააჩინეს პორტ-არტურში. აქედან სჩანს, რომ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი ეხლა უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ვიდრე აქამდე იყო...

გერმანულ გაზ. „კენიგსბერგ ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია პორტ-არტურიდან მიღებული კერძო წერილი. ეს წერილი შანხაიში მოჰსვლია ერთს ევროპიელ ვაჭარს. წერილში ნათქვამია, ვითომ გენ. სტესელს პეტერბურგში დეპეშა გაეგზავნოს და ყველას უკანასკნელად გამოჰსალმებოდეს. სტესელი სწერს. პორტ-არტური ჩემი სამარე გახდებაო. წერილის ბოლოში აწერილია, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია პორტ არტური.

დეპეშებიდან ვიცით, რომ 11 ოქტომბერს იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს პორტ-არტურს და 13 ოქტომბერს იერიშიც მიიტანეს ციხის უმთავრეს ფორტებზე.

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ჩიფუდან: იაპონელები კარგად მოემზადნენ და 11 ოქტომბერს პორტ-არტურს ყველა მხრიდან ზარბაზანი დაუშინეს; რასაკვირველია, ჩვეულებრივ ნავთ-სადგურსაც არ ივიწყებდნენ. რუსებიც უპასუხებდნენ და 13 ოქტომბერს ნაშუადღევამდე გაძლიერებული ზარბაზნის სროლა იყო. ამ დროს რუსის ზარბაზნები იტშანისა, ანძუშანისა და ერლუნგშანის ფორტებზე ცოტა ხნით გაჩუმდნენ. ნაშუადღევს 4 საათზე იაპონელების ერთი პოლკი ამას წინად ერლუნგშანს ახლო აღებული გორის იქიდან გამოვიდა, რუსის ტრანშეებზე ერლუნგშანსა და რკინის გზის შუა იერიში მიიტანა და ერთის საათის ბრძოლის შემდეგ აიღო კიდევაც. რუსები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ იაპონელები რამდენსამე ას მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ, ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს და რუსებს უკან დაახევინეს. იაპონელები პატარა მანქანის შემწეობით საკვირველად მარდად ისვრიან ამ ყუმბარებს. ამავე დროს იაპონელების მეორე რაზმმა იერიში მიიტანა ერლუნგშანის ფერდობზე გამართულ ტრანშეიაზე. ამ ადგილას იაპონელებსაც აქვთ ტრანშეები თავიანთ მოწინავე რაზმების თავზე. რუსის ტრანშეები თითქმის ფრიალო, მიუვალ გორის ფერდობზეა გათხრილი და იქ ასვლა მეტად ძნელია. მაგრამ იაპონელებმა ყუმბარებით დათხარეს გორის ფერდობი და მერე ბობღვით, როგორც კიბეზე, ავიდნენ მაღლა. არტილერიამ სულ რუსის ტრანშეებს დაუშინა ზარბაზანი და რუსები ბოლოს იძულებულნი იყვნენ, უკან დაეხიათ. იაპონელები მაშინვე მიჰყვნენ და მრავალი ტრანშეია გამართეს. ამ დროს რამდენიმე რუსის ნაღმი გასკდა, მაგრამ იაპონელებს ზარალი ვერ მისცა. რუსებმა უკან დახევის დროს ლიაოტეშანიდან ზარბაზანი დაუშინეს იაპონელებს და ღამით იერიშიც მიიტანეს, მაგრამ იაპონელებმა ტყვიის მტყორცნელებით უკუაგდეს. ზარბაზნის სროლამ 16 ოქტომბრამდე გასტანა. ყველაზე გამწვავებული ბრძოლა ერლუნგშანს ახლო

[illegible]ის აღმოსავლეთ მხარეს [illegible] მოხდა. ([illegible]

იაპონიის [illegible]ტორის მთავარმა [illegible] გამოაცხადა ოფიციალური დეპეშა ამ იერიშის თაობაზე. 13 ოქტომბერს მიღებულ დეპეშაში სწერია: იაპონელებმა საზღვაო ზარბაზანი დაუშინეს სუნშუანსა და ერლუნგშანს კიკუანშანის აღმოსავლეთით და ერთ ფორტს კიკუანშანის აღმოსავლეთით, 250 ყუმბარა მიზანს მოჰხვდა. ერლუნგშანის ფორტის მიწის გალავანი და ზოგიერთი საფარი დაანგრია და სუნშუანის ფორტის ტრანშეების ორი საფარი გაანადგურა ჩვენმა ყუმბარებმა. ნაშუადღევის 2 საათზე სუნშუანისა და ერლუნგშანის ფერდობზე გამართულ ტრანშეებს, პახსიანშანის სამხრეთითაც დავუშინეთ ახალი საალყე ზარბაზნები და ძლიერ დავაზიანეთ. ნაშუადღევის 5 საათზე ჩვენის მარცხენა ფრთის ნაწილი იერიშით წავიდა სუნშუშანის სანგრებზე; ჩვენის შუა ჯარის კოლონა (რაზმი) ერლუნგშანის სიმაგრეებსა და პალიჩუანის სამხრეთ ნაწილს დაეცა. იაპონელებმა ხსენებული სიმაგრეები აიღეს და არც თუ დიდი ზარალი მოსვლიათ, თუმცა რუსებმა ყველა მხრიდან ზარბაზანი დაუშინეს. ერლუნგშანის ერთ ფერდობზე ნაღმმა იფეთქა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერც ერთი იაპონელი ვერ მოჰკლა. ღამე საზღვაო ზარბაზნები დავუშინეთ ერლუნგშანსა და სამ სხვა ფორტს, გვინდოდა რუსების მუშაობისათვის ხელი შეგვეშალა. ამას გარდა, რუსის სამხედრო გემებსაც ვესროდით ყუმბარას. სუნშუშანისა და ერლუნგშანის ფორტების მეციხოვნე რაზმებმა ღამე. რამდენჯერმე მოიტანეს იერიში, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ. საალყე ზარბაზნებს 14 ოქტომბერსაც ვუშენდით ციხეს. საზღვაო ზარბაზნებს უმთავრესად ერლუნგშანს, იძუშანსა, ანჩუშანსა, პაიუშანსა, და ნავთ-სადგურს ვუშენდით. კიკუანშანის აღმოსავლეთით ერთი ზარბაზანი დავაზიანეთ, მეორე ზარბაზანი ერლუნგშანის ფორტსა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებ შუა დავაზიანეთ, მესამე ერლუნგშანის ფორტის დაფარულ ტრანშეებში და ორი პატარა და ერთი დიდი ზარბაზანი ერლუნგშანის აღმოსავლეთით დავაზიანეთ. ჩვენმა ყუმბარებმა ერლუნგშანის დახურული ტრანშეები დაანგრია, სანშუშანში ორი ტყვიის მტყორცნელი დალეწა და ორი ზარბაზანი დააზიანა, ამათგან ერთი 12 სანტიმეტრიანი იყო. რუსებმა ღამით იერიში მოიტანეს და ყოველი ღონე იღონეს, რომ ჩვენი იერიში მოეგერებინათ, ხელით სასროლ ყუმბარებსაც გვესროდნენ; ამავე დროს რუსები მხნედ მუშაობდნენ და დაზიანებულ სიმაგრეებს აკეთებდნენ. 16 ოქტომბერსაც ძლიერი ზარბაზნის სროლა იყო. ანძუშანისა და იტშანის ფორტებსა და პაინშანის გორას 285 ყუმბარა მოჰხვდა. საზღვაო ზარბაზნები უმთავრესად სიტაიანშანსა, იძუშანსა, ანძუშანსა, სამხედრო გემებს ნავთ-სადგურის აღმოსავლეთ ნაწილში და ქალაქის დასავლეთ ნაწილს ესროდნენ ყუმბარას. ერლუნგშანის ფორტში ერთი სიმაგრე და შენობები დავანგრიეთ და სხვა სიმაგრეები დავაზიანეთ. რუსებმა მიწით გატენილ ტომრებით გამოავსეს განგრეული მიწის გალავანი. კიკუანის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოსავლეთის მხარეს თოფის წამლის საწყობი ავაფეთქეთ და ერთი საველე ზარბაზანი დავაზიანეთ, იძუშანის ფორტზე 12-სანტიმეტრიანი ზარბაზანი გადავაბრუნეთ და ერთი ზარბაზანი ძლიერ დავაზიანეთ, ერთ გორაზე დახურული ტრანშეები და ეკლიან მავთულის ღობეებიც ძლიერ დავაზიანეთ. იანკონის ფორტის ზარბაზნებიც დავ[illegible] ქალაქში ორგან გაჩნდა ცეცხლი: [illegible]ლაქსა და ქარხნებში, ოქროს გორ[illegible] გათენების ხანს უფრო გაძლიერდა ზარბაზნის სროლა. ასიოდე რუსმა ერლუნგშანისაკენ გაყვანილ სანაღმე გვირაბზე მოიტანა იერიში, მაგრამ დიდის ზარალით უკუ-ვაგდეთ. ამავე დროს რუსის მეორე რაზმმა—იქაც ასი კაცი იქნებოდა—სანშუშანისაკენ გაყვანილ სანაღმე გვირაბზე მოიტანა იერიში. იაპონელები მამაცად იბრძოდნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ გვირაბის ნაწილი არტილერიით მიეტოვებინათ, მაგრამ ნაშუადღევის 1 საათზე ისევ უკან დავიბრუნეთ გვირაბის ნაწილიცა და არტილერიაც. 19 ოქტომბერს ერლუნგშანის ფორტის საზღვრამდე გვირაბი გავთხარეთ და დინამიტით ფორტის აღმოსავლეთ მხარეს თაღიანი ქვის სიმაგრეები დავანგრიეთ. ზარბაზნის სროლა თან-და თან გავაძლიერეთ და 350 ყუმბარა მიზანს მოვახვედრეთ. სხვა ფორტებიც ძლიერ დავაზიანეთ. ნავთ-სადგურში ხუთი სამხედრო გემი ნაღმებს იღებდა ზღვიდან. ზარბაზანი დავუშინეთ და სამი გემი ძლიერ დავაზიანეთ; ორ გემს ცეცხლი წაეკიდა. („რ. ვ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

29 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე: დაიჭრნენ: პოდპოლკოვნიკი თავ. ამილახვარი (გიორგი დავითის ძე, ბუზულუკის მე-215 პოლკის დროებითი უფროსი; დაიჭრა მსუბუქად და ჯარშივე დარჩ.); კაპიტნები—ნაუმენი, პორფიანოვიჩი და დზეროჟინსკი; შტაბს-კაპიტნები—დუმსკი და მუზეუსი; პორუჩიკები—ჩერნავინი და ოკუგოვი; პოდპორუჩიკები—გლებენინი, სტრონინი, გოფფერი და ფონ-გემმელმანი; სოტნიკი—დოლიძე (ბენიამინ გიორგის ძე, დაღესტნის მეორე პოლკის სოტნიკი); პრაპორშჩიკები—სმირნოვი და ადამსკი.

როგორც შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდა, **ტყვედ ყოფილან იაპონიაში**: პოდპოლკოვნიკი—კოვალევსკი, პორუჩიკი—ფონ-ლევისოფ-მენარი, ხორუნჟები—მატვეევი და ბაგრატიონი და ზაურიად-პრაპორშჩიკი—უგრინ-ტრესინსკი.

ახალი ამბავი

◆ 21 ოქტომბერს დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ საქართველოს საექსარხოსო საეკლესიო მუზეუმი დაათვალიერა.

◆ 24 ოქტომბრამდე ერევნის გუბერნიის დაბა კარგალუკასში **ხოლერით** ავად გამხდარა 3 კაცი, მომკვდარა—1, კიზილოვანქში ავად გამხდარა 30, მომკვდარა—17. დოროშანში—5 მომკვდარა—3 და ჯულფაში ავად გამხდარა—2, მომკვდარა—2 კაცი.

◆ 24 ოქტომბერს მოხდა კრება **იაფ-ფასიან და უფასო სასადილოების და საჩაიეების საზოგადოებისა**. კრებამ პირველად განიხილა წასულ წლის ანგარიში. შინაარსი ამ ანგარიშისა უკვე ვაცნობეთ მკითხველებს ამას წინად. კრებამ დაამტკიცა ანგარიში. დაამტკიცა აგრეთვე მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. ხარჯი მოსალოდნელია 10,000 მანეთამდე. დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ ქ-ნი მ. მ. ბაბანასოვისა, ხოლო წევრებად ქ-ნნი ე. ზ. ავთანდილოვისა და ე. ი. წურინოვისა.

◆ **თავ. აკაკის ავადმყოფობის ბიულეტენი.** „22 ამ თვისას, სალამოზე თავ. აკაკი ზედა ქუთუთოს და [illegible] მსუბუქი სიდამბლე მოუვიდა. ამ ხანად ავადმყოფის მდგომარეობას ცოტად უკეთესობა ეტყობა, მაგრამ სრული განკურნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი ექიმობა. თუ რამე ცვლილება მოხდება ავადმყოფის მიმდინარეობაში, თავის დროზედ საზოგადოებას ვაუწყებთ.

◆ ფიქრობენ, ქუთაისის გუბერნია გამორიცხონ იმ გუბერნიებისა და ოლქების რიცხვიდან, რომელიც **საქონლის ჭირის** მხრივ საშიშო ადგილებად არის მიჩნეული. ამ ადგილებში სხვა [illegible] წესებია.

◆ **გუბერნატორმა მოწერილობა** დაუგზავნა ტფილისის გუბერნიის ყველა ქალაქის მოურავს. გუბერნატორი ავალებს მოურავებს, მომავალ წლის სავარაუდო აღრიცხვანი დროით შეადგინონ. საბჭოებმა სავარაუდო აღრიცხვანი უნდა განიხილონ ნოემბერში, ხოლო გუბერნატორს წარუდგინონ დეკემბერში.

◆ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ მაზრის ადმინისტრაციამ თვალყური ადევნოს გორის და დუშეთის მაზრის იმ მემამულეებს, რომელთა ვენახებიც საფილოქსერო კომიტეტმა **ფილოქსერის** მხრივ საშიშოდ იცნო და ვაზი ან სხვა რამ ამ ვენახებიდან სხვაგან არ გადაატანინოს.

◆ როგორც ტფილისიდან „რუს. სლოვოს“ ატყობინებენ, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს ყაჩაღ აბდულლა გეიდარ-ოღლისთვის **ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია** და შემახაში კიდეც მოუყვანიათ სისრულეში ეს გადაწყვეტილება. ხსენებული ყაჩაღი ბაქოს გუბერნიიდან იყო.

◆ სოხუმის ოლქში ოსმალეთის **სომხეთიდან** გადმოხვეწილ 1700 კაცს ჰქონდა თავი შეფარებული. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, როგორც გვატყობინებენ, ესენი სოხუმის ოლქიდან უკანვე იქმნენ დაბრუნებულნი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 26 ოქტომბერს განიხილა მოწერილობა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაზე დარჩენილ **დასაფასებელ გადასახადის** პატიების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, ეპატიოს 1889 წლამდე დარჩენილი გადასახადი 4446 მან. 38 კაპ. და ჯარიმები, სულ 9005 მან. 42 კაპ., ხოლო 1889 წლიდან 1905 წამდე—15,253 მან. უსათუოდ გამოერთვას ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას.

◆ დღეს, 27 ოქტომბრისთვის, დანიშნულია კერძო კრება ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა. კრებამ უნდა მოილაპარაკოს **ხორცის დუქნების** არსებობის შესახებ. ბევრი იმ აზრისაა, რომ დუქნები უნდა დაიკეტოს. საბჭოს ეს საკითხი წარედგინება ორშაბათს, 1 ნოემბერს.

◆ ბელგიის **უსახელო საზოგადოების** წარმომადგენელმა შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ 1903 წლის 14 მარტიდან 1904 წლის მარტამდე ჩვენი შემოსავალი უდრის 555,935 მანეთსაო. აქედან ქალაქს ერგება 5%, ანუ 26796 მან. ამ ფულიდან უნდა გამოეკლოს 27,908 მან. იმ ავანსის ანგარიშში, რომელიც ქალაქს აქვს წაღებული. ქალაქს დარჩება 9597 მან. 55 კაპ.

ექიმები: მიხეილ გედევანიშვილი, ვახტანგ

◆ [illegible]რის საკრებულოში გუშინ, 26 ოქტომბერს, ექიმებ[illegible] გასინჯეს 10 კაცი და ამათში ხუთი გამოდგა სამხედრო სამსახურისთვის. პოლიციამ იმ 105 კაცში, რომელნიც კენჭის ამოსაღებად არ გამოცხადდნენ, წარუდგინა საკრებულოს ჯერ მხოლოდ 6 კაცი.

◆ **სად. კარკლისი** (ყარსის შტო). 25 ოქტომბერს აქედან გავიდა საქონლით დატვირთული რვა ვაგონი. მატარებელი ისე ძლიერ გაქანებულა, რომ სამი ვაგონი ლიანდაგიდან გადმოვარდნილა და სულ ერთიან დამსხვრეულა. დაზიანებული 5 ვაგონი შემდეგ სადგურამდე მიუტანიათ. კაცის თავს უბედურება არა მომხდარა.

◆ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა მიიღო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დასარიგებლად იმ ექსპონენტებისათვის, რომელნიც დასაჩუქრებულ იქმნენ 1092 წელს პეტერბურგში გამართულ შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენის დროს.

◆ **ხაშური.** 22 ოქტომბერს ხაშურში რკინის გზის ეკკლესიასთან კურთხეს ახლად დაარსებული სამრევლო სკოლა. სკოლაში მიიღებენ რკინის გზის მოსამსახურეთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შვილებს.

◆ **შეცდომის გასწორება.** „ცნობის ფურცლის“ მე-2649 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია სამტრედიიდან. კორესპონდენციაში შეცდომა შეპარულა. დაბეჭდილია: მაზრის ბოქაულმა შეიპყრო ფირცხალაშვილი და ჩიჩუა; უნდა იყოს: მაზრის ბოქაულმა და სხვა.

◆ 21 ოქტომბერს ტფილისის ახლო, მე-291 ვერსტზე, გორაკიდან გადმოვარდა და დაეცა რკინის გზის ლიანდაგს სალდათი ეფრემ ხრომელი, რომელიც ძლიერ დაშავდა. დაშავებული ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **ყარსი.** როდესაც საქონლის კასის მარინოვსკის კასსა გაუშინჯეს, აღმოჩნდა, რომ 562 მან. აკლდა. მარინოვსკიმ განაცხადა, უბის ჯიბიდან დავკარგეო, ამიტომ ჯამაგირიდან დამიჭირეთ და დაკარგული ფული ისე შევავსებო. მაგრამ მარინოვსკი სამსახურიდან გადააყენეს.

◆ **სად. ამამლი.** 23 ოქტომბერს, ღამის 9 საათზე და 30 წ., ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მე-165 ვერსტზე ლიანდაგის დარაჯის სადგომთან რევოლვერი გაისროლეს. ტყვია მოხვდა ფანჯარას და შემდეგ დარაჯის ბარარიძეს ქვეშაგებს. ქვეშაგებში მწოლარე გადარჩა.

◆ **სად. კოჯლიარი.** 24 ოქტომბერს, შუადღის 1 საათზე და 30 წ., როდესაც საქონლის მატარებელი მიდიოდა მე-406 ვერსტზე, ვიღაც უცნობ კაცს ეძინა [illegible] ლიანდაგზე. მატარებლის გაჩერება ვერ მოასწრეს. მემანქანემ და მძინარე კაცი გასრისა.

ქალაქის საქმეები

25 ოქტომბერი

ამ დღესაც ქანდარა [illegible] იყო გაჭედილი—ალბად, კიდევ ელოდნენ „სტოროჟებისა“ და „ლივრეის“ საქმეების განგრძობას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. სამაგიეროთ, სრულიად მოულოდნელად, ერთმა უცნაურმა „საქმემ“ იჩინა თავი და ამ აღმოჩენის დამსახურება ხმ. სოსინს ეკუთვნის.

„ანდრეევის ქუჩაზე ვცხოვრობ და თვალყურს ვადევნებ ამ ქუჩის შეკეთებას. დავრწმუნდი, რომ ძალიან ცუდათ აკეთებდნენ: ერთი წვიმა რომ მოვიდეს, ქუჩა ტალახის მორევად გადაიქცევა—შოსსეს აკლია დატკეპნა, რადგან „კატოკი“ ცუდათ გაატარეს. მოვთხოვე მეთვალყურეს ერთხელ კიდევ გაეტარებინათ, მაგრამ მითხრა, რომ კატოკი გაფუჭდა და შეკეთება სჭირდებაო. შეკეთებამ დაიგვიანა; მე საქმეს გამოვეკიდე და აღმოჩნდა, რომ ქალაქის „კატოკი“ ქალაქისავე ინჟინერს ბგინჯანოვს წაუღია, რომ თავის [illegible]კენა.“

[illegible]აქის თავის მოადგილე შეჰპირდა ხმოსანს—ორშაბათს მოვახსენებ საქმის [illegible] გარემოებასო. ხმ. სოსინი ამით არ დაკმაყოფილდა—ორშაბათამდე ქუჩა სულ გაფუჭდება, საქმე ხვალვე უნდა გაკეთდესო. სხვა ხმოსნებ შორის მხოლოდ ხუდადოვმა მიაქცია ყურადღება ამ „უცნაურ“ საქმეს: ეს ნამდვილი ბოროტ-მოქმედებაა და დაწვრილებითი გამოძიება უნდა ფაქტიურ მხარესო. დანარჩენები მჭერმეტყველურად სდუმდნენ.

ვის უფრო სჭირდება ახალ მოდის „სტოროჟები“ ლივრეითა თუ ულივრეოდ, სკოლის გამგეებს თუ ქალაქის ტეხნიკებს?

მეორე „საინტერესო საქმეც“ უნდა გამორკვეულიყო, მაგრამ გადაიდო: ქალაქს მუხრანის ხიდისათვის კერძო პირების ადგილი ესაჭიროება, ქალაქმა უმაღლესი ნებართვა აიღო ადგილების ჩამორთმევისა. ამისთანა შემთხვევაში ადგილს აფასებს საგანგებო კომისია, სადაც ქალაქის წარმომადგენელიც არის, მაზრის თავად-აზნაურობისაც და ადმინისტრაციისაც. ამ საგანგებო კომისიას სულ ერთი თუ ორი სხდომა ჰქონია და ქალაქიდან-კი ორმოც თუმანს გასამრჯელოს თხოულობს. რა კანონის ძალით, რატომ ორმოც თუმანს და არა მეტს ან ნაკლებს, ეს გამგეობის მოხსენებიდან არა სჩანს და საბჭოც საბუთიანად მოიქცა, როცა ეს საქმე საფინანსო კომისიას გადასცა. ამბობენ, კომისიის ანგარიშში შეშის ფასიც არის აღნიშნული, თუმცა ზაფხულში იყო სხდომებიო; ქაღალდიც უამრავი დაუხარჯავთ—გაზეთს ნახევარ წელიწადს მაინც ეყოფოდა.

დიდი კამათი გამოიწვია ტრამვაის უსახელო საზოგადოების შუამდგომლობამ—ნება მოგვეცით რკინის გზიდან საელექტრონო სადგურამდე ნავთის მილი გამოვიყვანოთ მხოლოდ ჩვენის სარგებლობისათვისაო. გამგეობა თანახმა გამხდარა. საბჭოში სხვა ნაირად შეხედეს ამ საქმეს: ხმ. ხმ. მირზოევი, ხუდადოვი, ბარათაშვილი, არ. ბაბოვი ამტკიცებდნენ, რომ ნავთის მილის საქმე ეგრე ადვილი საქმე არ არის, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს უსახელო საზოგადოებას და ტყუილა რად უნდა დავუთმოთ ჩვენი ქუჩებიო; გარდა ამისა ეს ნავთის მილი ფასს მოუმატებს ტრამვაის, როცა ქალაქი მოისურვებს მის გამოყიდვასო. გამგეობის წევრი ენფიანჯიანცი ცხარედ ამტკიცებდა—ფულის მხრივ ნავთის მილი საზარალოა საზოგადოებისათვის და თუ თხოულობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნავთის მილით სარგებლობა უფრო მოხერხებული არისო; ამ ბოლო დროს უსახელო საზოგადოება უფრო გულკეთილია, ქალაქს ბევრს რამეს უთმობს და ნუ გავაჯავრებთ, თორემ ისევ მტრობას დაგვიწყებსო.

ხმოსნების უმრავლესობამ არ უსმინა ბ. ენფიანჯიანცის მოწოდებას, არ ირწმუნა ბელგიელ კაპიტალისტების გულკეთილობა და უანგარობა და საქმე საგანგებო კომისიას გადასცა: საბუთიც არის ასე მოქცეულიყვნენ—უსახელო საზოგადოებამ ბევრი სისხლი გაუშრო ქალაქის თვით-მართველობას და ამ უკანასკნელს უფლება აქვს ეჭვის თვალით შეხედოს „დანაელებს“ მაშინაც-კი, როცა ესენი „საჩუქრებით“ მოდიან.

თეატრი

დღეს, 27 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში ქართული დასი წარმოადგენს ახალ პიესას—„ახალ მოძღვრებას“. ავტორი ამ პიესისა ბარეტია. ბევრსა ჰგონია, რომ ეს პიესა გადმოკეთებულია გენრიკ სენკევიჩის ცნობილ რომანიდან „ქვო ვადის“. შემცდარი აზრია. ეს პიესა ორი წლით ადრე გამოვიდა, ვიდრე სენკევიჩის რომანი. ეს არის მხოლოდ, რომ ორსავე ნაწარმოებში ძველი რომის ცხოვრებაა აწერილი. პიესა ძალიან საინტერესოა და, ეჭვი არ არის, ჩვენ საზოგადოებას მიეწონება. მონაწილეობას იღებს მთელი დასი, სხვათა შორის, ქ-ნი ჩხეიძე და ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

—

შაბათს, 30 ოქტომბრისათვის, „წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ დანიშნულია ქართული წარმოდგენა საკრებულო დარბაზში (ტფ.

ფელეტონი

მუნჯური მეთოდი

ჩვენსა და საზოგადოდ არა რუსთა სკოლებში ამ ბოლო დროს ფეხი მოიკიდა და თითქმის გაბატონდა ეგრედ წოდებული „ბუნებრივი“ ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, არა ბუნებრივი, მუნჯური მეთოდი სწავლებისა. მუნჯური იმიტომ ჰქვიან, რომ მასწავლებელს და მოსწავლეებს უფლება არა აქვთ ერთმანეთში იმ ენაზე ისაუბრონ, რომელიც ორივესათვის გასაგებია, რომელიც მოსწავლეებს შესისხლხორცებული აქვთ და რომელზედაც დაბადებიდანვე ლაპარაკობენ.

ბევრჯელ თქმულა და დაწერილა ამ მეთოდის შესახებ, მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ ხელახლა დავუბრუნდეთ ამ საგანს, იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში ამ მეთოდის მომხრენი არაფერს ყურადღებას არ აქცევენ და დაჟინებით გაიძახიან, ასე სჯობია სწავლებაო. თუ ჰკითხავთ, მოსწავლეები რას გაიგებენო, გიპასუხებენ: მაშინ რისად აქვს მასწავლებელს ხელი, ფეხი და სხეულის სხვა ასოები? რად იცის ჯდომა, დგომა, სიარული? შეუძლიან ყველა ეს თვალდათვალ, ნათლად აჩვენოს მოსწავლეს, აი, მუნჯებმაც არ იციან ენა მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ნიშნებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს. მიჰბაძეთ მუნჯებსაო. და ერთგული მასწავლებელი, მოისურვებს რა რაიმე სიტყვის ახსნას, ჯერ მკაფიოდ წარმოსთქვამს ამ სიტყვებს, მერე დაიწყებს თითების, თავის და სხეულის სხვა ასოების აქეთ-იქით ქნევას: ჯდება, დგება, იცინის, ან კიდევ „კვერცხს სდებს“ და სხვა. არ შეგვიძლიან ყველა იმ საშუალების ჩამოთვლა, რომლითაც მუნჯურ მეთოდის მიმდევარი მასწავლებელნი სარგებლობენ. ყველაფერი უდედაენოდ, არაფერი დედაენით—აი მისი დევიზი.

მერე, რა სარგებლობა მოაქვს ამ მეთოდს? არავითარი. რაც უნდა იგრიხოს და იხტუნოს თვით ურთგულესმა მასწავლებელმა, რამდენიც უნდა იქით-აქეთ ატრიალოს შესასწავლი საგანი, მოსწავლე მაინც ბუნდად შეითვისებს ყველა იმას, რასაც ასეთის მუნჯურის ნიშნებით აუხსნიან. ერთმა მასწავლებელმა „აუხსნა“ თავის მოსწავლეებს: это стулъ და წარმოთქმისთანავე ხელი ნელა სკამზედ დაუშვა. გაამეორებინა მოსწავლეს, რომელმაც ძლივს წარმოსთქვა ეს ორი სიტყვა და იმანაც სწორედ ისე ნელად დაუშვა ხელი სკამზედ, როგორც იმისმა მასწავლებელმა ეხლა გკითხოთ: რას გულისხმობდა მოსწავლე ამ ორი სიტყვით, სკამს, ხელის ძირ ნელა დაშვებას თუ თვითონ ხელს? ეს მხოლოდ ალაჰმა უწყის. არ უწყის ეს არც თვით პედაგოგმა, რადგან არ შეუძლიან დედა ენის საშუალებით შეიტყოს, როგორ გაიგო იმისი ახსნა. მასწავლებელს და მოსწავლეებს არაფერი არ ესმით ერთმანეთისა, არაფერი არ აკავშირებთ მათ, გარდა მუნჯურის ნიშნობანისა. მასწავლებელს არ შეუძლიან თავისი მოსწავლენი გაიცნოს, იმათ გულში ჩაიხედოს, თვითოეულის ღირსება-ნაკლულევანებანი გაიცნოს, ესაუბროს, გაურკვიოს ათასი საკითხი, რომელიც კი ცნობისმოყვარეობით ბავშვს აღეძრება. დაახლოვებაზე ლაპარაკი მეტია. ყველა ამას შემდეგ რაღა გასაკვირველია, თუ მასწავლებელს მოსწავლეებზე ვერავითარი გავლენა ვერა აქვს, თუ ბავშვებს სკოლიდან არავითარი ზნეობრივი საზრდა და გონებრივი განვითარება არ გამოაქვთ.

გარდა ამისა, იკარგება უსარგებლოდ მთელი ის გონებრივი განძი, რომელიც ბავშვს სკოლაში შესვლამდის შეუძენია. ეგრედ წოდებული „თვალდათვალ“ შესწავლა, როგორც ეს მუნჯურ მეთოდის მიმდევართ ესმით, საგნების შესწავლის თავიდან დაწყებაა. უწინ, როდესაც ბავშვს ამა თუ იმ საგნისაგან შთაბეჭდილება მიუღია, საგანი მეტად თუ ნაკლებად შეუთვისებია. სკოლამ ეს საგანი ხელახლად-კი არ უნდა შეასწავლოს, არამედ უწინ შეძენილი ცოდნა შეასწოროს და შეავსოს. თუ ისე მოვიქცევით, როგორც ბუნებრივ მეთოდის მიმდევარნი გვირჩევენ, მაშინ ბევრს დროს უმიზნოდ დავკარგავთ და ბოლოს მოსწავლეებს მაინც ბუნდად ექნებათ შესწავლილი საგანი. უნდა ვცდილობდეთ ნაკლები დრო დავხარჯოთ და მოსწავლეს ნათლად გავურკვიოთ ესა თუ ის შემეცნება. ასეთის სწავლებით მოსწავლენი არა თუ ვერაფერს იძენენ, პირიქით,—ჩლუნგდებიან კიდეც. ეს მუდმივი გამოურკვევლობა, ბუნდი წარმოდგენები ყველა იმისა, რაც სკოლაში „ისწავლეს“, აფერხებს მის გონებრივს განვითარებას. იგი ვერ ავარჯიშებს ნორჩს გონებას, არ ეღვიძება ცნობის მოყვარეობა, ეჩვევა ყველაფრის კეკუბრად შეთვისებას და დაუკვირვებლობას. ნუ თუ ასეთი მეთოდი ბუნებრივია?!

მუნჯური მეთოდი დედა-ენის წინააღმდეგ მიმართული იარაღია. დედა-ენის პედაგოგიურს მნიშვნელობაზედ ჩვენ არ ვილაპარაკებთ, რადგან ეს ყველასათვის თავისთავადაც აშკარაა. ჩვენ შევეხებით იმას, თუ რამდენად თხოულობს დედა-ენის შესწავლას დღევანდელი ცხოვრება. რადგან ჩვენი ხალხი ძლიერ ღარიბია, ამიტომ ბავშვთა უმრავლესობის განათლება განისაზღვრება დასაწყისს სკოლაში სიარულით; მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს სწავლას, დანარჩენნი 90% მოსწავლეებისა, შინ რჩებიან, ზოგი სიღარიბისა, ზოგიც კი სხვა სასწავლებლებში ადგილის უქონლობის გამო. რასაკვირველია, რუსული ენის ცოდნა დიდი სასარგებლოა, მაგრამ ამ შინ დარჩენილთათვის ქართული ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. იმათ თავის დედაენაზედ წერა, კითხვა, ლაპარაკი უფრო ხშირად მოუხდებათ და ამ ცოდნით უფრო ისარგებლებენ ცხოვრებაში. ამიტომ დასაწყისს სკოლაში დედა-ენას უნდა ეჭიროს პირველი ადგილი, იმას შესწავლაზე უნდა იყოს დაფუძნებული სხვა საგნების შესწავლაც. თუ დედა-ენის სწავლება არ იქნება სავალდებულო, მაშინ სკოლა ჰკარგავს მთელს თავისს სასურველ მხარეს. იგი არა თუ არა წვრთნის მოსწავლეების გონებას, არა სძენს იმათ არავითარს ცოდნას, არ აძლევს იმას, რაც იმისთვის სასარგებლოა ცხოვრებაში, პირიქით, აჩლუნგებს, ასახიჩრებს და უხშობს ყოველსავე ნიჭს. რასაკვირველია, ამ რიგად დაყენებული სკოლა იშვიათია, რომ მავნებელი არ იყოს.

მაგრამ რას ამბობენ ისინი, რომელთაც თავიანთი თავი საზოგადო მოღვაწეებად მოაქვთ და რომელთაც მინდობილი აქვთ მუნჯურ მეთოდის ხმარება სკოლაში? რა აზრისანი არიან ისინი ამ მეთოდზე? უმეტეს შემთხვევაში ისინი არაფერ აზრისანი არ არიან: იმათ პატიოსნად გადაუგდიათ თავისი ენა და სინდისიერად ასრულებენ თავიანთ „ვალდებულებას“. იმათ ან უნდა იხმარონ ეს მეთოდი ისე, როგორც იმისი შემდგენლები ქადაგებენ, უნდა ასახიჩრონ ბავშვები, ან და, უკეთეს შემთხვევაში, ცოტა გადაუხვიონ რეცეპტს და დედა-ენაც იხმარონ. ჰგრძნობენ, როგორს ცუდს მდგომარეობაში ვარდებიან მუნჯურ მეთოდის წყალობით, ჰგრძნობენ, რომ არაფერს სძენენ ბავშვებს, პირიქით, აჩლუნგებენ, მაგრამ იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა არ შესწევთ, რომ საქვეყნოდ უარ-ჰყონ ეს მეთოდი: ისინი ხმარობენ დედა-ენას მალულად, როგორც საშუალებას რუსულ ენის შესასწავლად. დედა-ენას ისინი ასწავლიან იმდენად, რამდენადაც საჭიროა რუსულ ენის შესასწავლად. ქართულ ენის შესწავლაზედ ისინი თავს არ იტკივებენ, რადგან არაა სავალდებულო და სახიფათოც არის. რევიზიის დროს ისინი არ ეუბნებიან რევიზორს, რომ დედაენით სარგებლობდნენ, პირიქით, თავმომწონედ ამბობენ, ამას სულ მუნჯურ მეთოდით მივაღწიეთო. მაშასადამე, ისინი არა თუ არა ჰგმობენ ამ მეთოდს, პირიქით, სახელს უკეთებენ, ხელს უწყობენ იმის გავრცელებას. ის მასწავლებლები, რომელთაც არ ესმით თავიანთ მოსწავლეთა დედაენა, იძულებულნი არიან იხმარონ ეს მეთოდი და იმათ უფრო ეპატიებათ ეს, მაგრამ რა ითქმის იმ ქართველებზედ, რომელნიც შეგნებულად ასახიჩრებენ მთელ მოზარდ თაობას? გერმანელები ამბობენ: მასწავლებელმა მტერი დაგვამარცხაო, ჩვენ-კი შეგვიძლიან ვსთქვათ: ჩვენმა მასწავლებელმა ჩვენვე დაგვამარცხაო.

ძლიერ მოხარულნი ვიქნებით, თუ მასწავლებელნი ამ საყურადღებო საგანზე გამოეხმაურებიან. მასწავლებლებს თითქმის ყველას შეგნებული აქვთ ის როლი, რომელიც უკისრნიათ დედაენის სკოლიდან გაძევების საქმეში; რადგან მასწავლებელნი ამ საქმესთან უფრო ახლო არიან, იმათ უფრო ესმით მეთოდის უკუღმართობა და უფრო მეტიც დაეჯერებათ.

ანბანიძე.

სობრანიეში“). [illegible] დავით კლდიაშვილის კომედიას „დარისპან[illegible]ჭირს“, რომელიც ჯერ ტფილისში არ დგენილა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა [illegible]კური. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება.

—

„რუს. სლოვო“-ს სწერს: პროვინციიდან არა სანუგეშო ამბებს იწყებიან საოპერო ანტრეპრიზების შესახებ. ყველაზე მეტად ზარალობს დონსკოი, რომელსაც ტფილისში საოპერო დასი ჰყავს. ბ-ნ დონსკოის საქმე ისევე ცუდად [მი]დის, როგორც შარშან ბ-ნ ფიგნერის საქმე [მი]დიოდა. ოქტომბრის პირველ ნახევარში დონსკოიმ ოთხასი თუმანი იზარალა.

კახელ მევენახეთა საზოგადოების საგანგებო კრება თელავში.

(შემდეგი *)

შემდეგ კრება შეუდგა მე-4 და მე-5 მუხლების განხილვას, რაც, სხვათა შორის, შეიცავს ზედ-მეტად გატანილ ფულის დასაბრუნებელ ღონისძიებებს. ამ დროისათვის წევრთა რიცხვი 36-მდე ავიდა. გარეშენი ძალიან ცოტანი იყვნენ. გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ვახვახიშვილმა წაიკითხა 9 და 11 მარტს მომხდარ კრების დადგენილება და აგრეთვე გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა შეერთებული კრების დადგენილება. ამ დადგენილებებში ნათქვამია: ამიერიდან ზედ-მეტად ფული აღარ უნდა იქმნას გაცემული. ფულის გაცემის დროს სავსებით უნდა ხელმძღვანელობდეს გამგეობა მე-4 და მე-5 მუხლებით შეუცვლელად, ე. ი. ნავაჭრი ფული ჯერ უნდა დაურიგდეს იმათ, ვისაც არ მიუღია ღვინის ფული 1903 წლის მოსავლისა, განაწილებული უნდა იყოს მისაღებ ფულის პროპორციით. რაც შეეხება უკვე ზედ-მეტ გატანილ ფულს, იგი უნდა დაიბრუნოს საზოგადოებამ ნაწილ-ნაწილად, ხოლო ეს ნაწილი არ უნდა იყოს 20% მცირე წევრის წლიურ მოსავლის ღირებულებისა. უკეთუ რომელიმე ამ წევრთაგანი მოინდომებს ღვინის კერძო კაცზე გაყიდვას, იმან ღვინის ერთი მეხუთედი უნდა საზოგადოებას გადასცეს წაღებულ ფულის ნაწილის დასაფარავად. გაყიდვის მსურველმა დეკემბრამდის უნდა შემოიტანონ განცხადებაო. შემდეგ ამავე საგნის შესახებ წაიკითხა თავისი განცხადება თავ. ნ. ი. აბაშიძემ.

თავ. აბაშიძე ასურათებდა ზედ-მეტად გატანილი ფულის მიზეზებსა და ყველაფერში ბრალსა სდებდა გამგეობის უკანონო მოქმედებას, საქმიანობის საკანცელარიო ქაღალდებზე დაფუძნებას და დაუდევნელობით საქმის დაქვეითებასა თხოულობდა, ისეთი ღონისძიება გამოეძებნათ გამგეობის წევრთ, როგორც ყველა ამაში დამნაშავეთ, რომელიც შეღავათით გადახდევინებდა დავალიანებულ წევრებს ზედმეტად გატანილ ფულს და აიცდენდა გაჭირებას.

ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, ბევრმა უსაყვედურა საზოგადოების გამგეობას. ბევრმა სხვა-და-სხვა საბუთიც მოიყვანა.

თავ. ნ. ი. აბაშიძე. კრების დადგენილებით ნება რომ მიეცეთ წევრთ ღვინის კერძო კაცზე გაყიდვისა, ეს ძალიან დასცემს ღვინის ფასს. წარმოიდგინოთ, რომ სუყველა 167 წევრმა მოინდომა ღვინის კერძო კაცზე გაყიდვა, ეს გარემოება ისე დასცემს ღვინის ფასს, რომ არა თუ წევრნი იზარალებენ, არამედ იგი გავლენას იქონიებს მთელ მხარეზე, ამით მთელ კახეთის მევენახეთ მივაყენებთ დიდ ზარალს. ამიტომ ნაჩვენები ღონისძიება უარ-ყოფილ უნდა იქმნას.

თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილი. საკვირველია, ვლაპარაკობთ ზედ-მეტად გატანილ ფულზე და ამ საქმისა-კი არა ვიცით რა. ასე ბურუსით მოცულნი ვართ. ათი წელიწადია კარზე მოგვადგა ეს გაჭირვება და რაღაცა ნახევარ ღონისძიებაზე გვითითებენ. თუ გვინდა ბეჯითად მოვეკიდოთ საქმეს, ყველა წვრილმანი ამ საქმისა უნდა ვიცოდეთ. პირველად ყოვლისა უნდა ვიცოდეთ პირადი ანგარიში თვითეულ წევრისა, ვისაც ზედ-მეტად აქვს გატანილი. აქ წაკითხული გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა შეერთებულ კრების დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ღონისძიებას შეიცავს, ვერ განხორციელდება.

ჩემის აზრით, მაგ ღონისძიებას ისა სჯობია, საშუალება მივცეთ გამგეობას 18 ათასი მანეთი მოგება წარსულ წლისა, თანახმად მარტის კრების გადაწყვეტილებისა, ფულად იქონიოს და აქედან გაჭირვებულ წევრებს აღმოუჩინოს შემწეობა. წესდების მე-56 მუხლიც ნებას აძლევს გაჭირვებულთა შეელისას იმ ფულიდან, რომელიც საზოგადოებას აქვს სახელმწიფო ბილეთებით.

თავ. რევაზ ყარალაშვილი. სწორედ ისეთი საქმე მე მომივიდა, როგორზედაც ბრძანებს თავ. ნიკოლოზ. შარშან ჩემი ღვინო იყო დაფასებული 80 მან. მქონდა 1800 მან. ღვინო, მიჭირდა 600 მან., გამგეობას ვთხოვე მოეცა 600 მან. დანარჩენი ზედმეტად გატანილ ფულში ეანგარიშნა. ჩემი თხოვნა რომ აესრულებინათ, საჭიროებას დავიკმაყოფილებდი და 1200 მანეთსაც ვალს მოვიშორებდი. გაჭირვების გამო ღვინო კერძო ვაჭარს მივყიდე და 1800 მან. მაგიერ მივიღე მთელ ღვინოში მარტო 800 მან. ამნაირად მეც ვიზარალე და საზოგადოებამაც იზარალა: მე ასი თუმანი დავკარგე და საზოგადოებამ 120 თუმანი ვერ გაინაღდა. სადაც წაველი, ყველგან მითხრეს, შენ ხომ საზოგადოების წევრი ხარ, რად ჰყიდიო. სრულიად ვეთანხმები თავ. აბაშიძეს, რომ ღვინის ფასი დაეცემა.

გამგეობის თავმჯდომარე. თავ. კ. ი. აბაშიძე თვის განცხადებით ბრალსა სდებს გამგეობას. ვთქვათ, ეს ასეა, მართლაც არ უნდა გვეძლევინა ზედმეტი ფული. ჩვენ არც ერთხელ არ მიგვიცია ზედმეტი ფული საზოგადო კრების უბრძანებლად. აი, ეს როგორ ხდებოდა: კრებაზედ ზოგნი ამბობდნენ, ნუ აძლევთ ზედ-მეტ ფულსაო. როცა ჩვენ შევეკითხებოდით კრებას, აგერ ბანკების ვადები მოდის, რას გვიბრძანებთ, ვისაც ზედ-მეტად გატანილი ფული აქვს, მათ მაგიერადაც შევიტანოთო, თუ არა? იცოდეთ, თუ არ შევიტანთ ბანკებში მათს ხვედრ სარგებელს, იმათი მამული გაიყიდებაო. მაშინ კრება დაადგენდა, ბანკებში სარგებელი ყველა წევრებისა შეიტანეთო. წლით-წლობით ეს ასე ხდებოდა. გვეუბნებიან, რაკი გადაწყვეტილება უკანონო, ანუ წესდების წინააღმდეგი იყო, თქვენ [illegible] აძლიეს, [illegible]ს და უცებ შეწყვეტილო. ეგევე ითქვა წარსულ კერძო კრებაზედ. ასე არ არის, ბატონებო, როგორც ჰგონიათ. მართალი არ არის თავ. რ. ყარალაშვილიც (აქ თავ. ვახვახიშვილმა საბუთები მოიყვანა). რაც შეეხება იმას, ვითომ დიდი ზარალი მოელოდეს ან წევრს, ან კიდევ მთელ კახეთს, თუ ღვინო კერძო მოვაჭრეებზედ გაიყიდა, ტყუილია. ფასის დაცემა არ შეუძლიან იმას რამდენიმე ათასი ვედრო გაიყიდება კერძო ვაჭარზედ, თუ არ გაიყიდება. იქ, სადაც გასაყიდი ღვინო მილიონებით ითვლება, ორი და სამი მილიონ ვედრო ღვინის მაზანდაზე ვერ იმოქმედებს 20 და თუნდა 60 ათასი ვედროს გაყიდვა თუ გაუყიდაობა.

რაც შეეხება თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილის მოთხოვნილებას, რომ საჯაროდ წაკითხულ იქმნას წევრთა ანგარიშები, ეს უხერხულია. თუ ასე ისურვებს კრება, შეუძლიან სამი კაცისაგან შეადგინოს კომისია, იგი გაიცნობს ანგარიშებს, დაჰყოფს ჯგუფებად და თვითეული ჯგუფის საზოგადო ხასიათს გააცნობს კრებას პიროვნების დაუსახელებლად.

გამგეობის თავჯდომარემ განმარტა და საბუთებით დაამტკიცა, რომ 1903 წლის მოსავლის საღირალი, ვისაც კი ღვინო შეუტანია საზოგადოებაში, მეტობრივ აქვს მიღებული ამავე წელიწადს იმათ, ვისაც ზედ-მეტად ჰქონდათ გატანილი, ასე რომ ამ მოვალეებს ვალისთვის თუ არ მიუმატებიათ, არა მოუკლიათ რა. არიან ისეთებიც, განაგრძო იმან, რომელთაც ღვინო არ შემოუტანიათ და მაინც მოუსწრიათ ფულის მიცემა წამლების სახით თუ მათ მაგიერ ბანკებში სარგებლის შეტანით. არიან ისეთნიც, რომელთაც 300 მან. ღვინო შემოაქვთ და წინად ზედ-მეტად გატანილი 4 ათასი მან. აქვთ და ამ შემოტანილშიაც წამლებს იღებენო. ყველა ეს ცხადად ამტკიცებს, რომ თავ. ნ. ი. აბაშიძის განცხადებაში მოხსენებული, ვითომც გამგეობამ ათი წელიწადი აძლია და 1903 წ. არა მისცა რა, სრულიად უსაფუძვლო და მტკნარი ტყუილი.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ კრების თავმჯდომარემ განაცხადა: ახალი საშუალება ვერავინ უჩვენა ისეთი, რომ კრება დაეკმაყოფილებინა, გამგეობისაგან ნაჩვენებიც ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც ამაზე ლაპარაკის დაწყებამდის იყო. ეს შეერთებული კრების დადგენილება კიდევ მოვისმინოთ და სავსებით განვიმარტოთ იგი.

გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა და სთქვა, ამ დადგენილებას თუ კრება მიიღებს, ყველა წევრმა უნდა იცოდეს, რომ ჯერ გამგეობა ნავაჭრ ფულს დაურიგებს იმ წევრებს, რომლებსაც 1903 წლ. შემოტანილი ღვინის ფასი არ მიუღიათ სავსებით. რასაკვირველია, ნავაჭრი ფული ამათ გაეყოფებათ მისაღებ ფულის რაოდენობის დაკვალად, ანუ პროპორციონულად. ამ ფულის გასტუმრებას მოუნდება დაახლოვებით ორი-სამი თვე. ამიტომ ვისაც მომავალ დეკემბერში შესატანი აქვს სარგებელი ბანკში და მისაღები კი არა აქვს, იმას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს გამგეობისა. რაც ამ სამი თვის შემდეგ ფული შემოვა, იგი განაწილებული იქმნება ყველა 167 წევრზე 1904 წლის შემოტანილი ღვინის ღირებულობის დაკვალად, ანუ პროპორციონულად წევრთაგან მისაღებ ფულის რაოდენობისა. რასაკვირველია, ზედ-მეტად ფულის გამტანთ გამოერიცხებათ ვალის დასაფარავად ნახუთალი მათგან შემოტანილ ღვინის ღირებულობისა.

ამის შემდეგ კიდევ ილაპარაკეს. ლაპარაკობდნენ უფრო რუსულად. როდესაც თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილმა დაიწყო ჩვეულებისამებრ რუსულად, ადგა ა. მეტრეველი, გააწყვეტინა სიტყვა, მიუბრუნდა თავმჯდომარეს და სასოწარკვეთილებით სთქვა: ბატონებო, ერთი სიტყვა ქართული სთქვით, მეც გავიგონოო. კრებამ ბოლოს ერთხმად მიიღო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა შეერთებულ კრების დადგენილება.

ნადიკვრელი.

რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს თავ. სვიატოპოლკ-მირსკი ეხლა ხან მიუღია რუსის მწერალი პ. ი. ვეინბერგი. ვეინბერგს შუამდგომლობა აღუძრავს იმ მწერალთა განთავისუფლების შესახებ, რომელნიც ბოლო დროს შეიპყრეს და პეტერბურგიდან სხვა-და-სხვა ადგილებში გაჰგზავნეს. მინისტრს უთქვამს, იმედი მაქვს, დასჯილთა სიას თვალსაჩინოდ შევამოკლებო. ასეთივე შუამდგომლობა აღუძრავს ვექილების შესახებ ნაფიც ვექილს ტურჩანინოვს. („რ. სლ.“).

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ამ ჟამად კიშინევში სამოსამართლო პალატა არჩევს ებრაელების ჟლეტის საქმეს. პალატამ რამდენიმე საქმე უკვე გაარჩია და ეხლა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სამინისტროს წინაშე და სთხოვა, ნება მოგვეცით დანარჩენი საქმეები ხალხის დასწრებით განვიხილოთო. სამინისტროს არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა. („რ. სლ.“).

◆ შავი ზღვის ფლოტისა და ნავთსადგურების უფროსმა, „რუს. ლისტოკის“ სიტყვით, გამოსცა ბრძანება, რომლითაც სასტიკად ჰკიცხავს ნიკოლაევის ნავთსაშენებლის გამგეებს, სადაც ოთხი წელიწადია აშენებენ ოთხ პატარა ნაღმიან გემს და დღემდე ვერ ააშენესო.

◆ „ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით უბრძანებია, განთავისუფლებინათ კერჩის სატუსაღოდან 15 წლის ქალი, რველდია იუგერი. ეს მცირე წლოვანი ქალი პოლიტიკურ დანაშაულობისთვის დაუპატიმრებიათ.

◆ ბოგუსლავიდან (კიევის გუბერნიაში) გაზ. „დეს. ფრენდ.“-ს ატყობინებენ, რომ 11 ოქტომბერს მოხდა ქალაქის ჟლეტაო. მრავალი სახლი და დუქნებია დარბეული და გაძარცული. მხოლოდ ზოგიერთმა ბედნიერმა გამოისყიდა და იხსნა თავი ფულით. („რ. ვ.“).

◆ გრო[illegible] ბენ, რომ [illegible] ჩაიარა მშ[illegible] 12 ოქ[illegible] ღენმა [illegible]გო ჯარის-კაცმა ჩაამტვრია აქაურ მცხოვრების რაბინოვიჩის სახლის ფანჯრები. აქედან ბრბო გაქანდა არყის დუქნისაკენ და გაანადგურა რაც დუქანში არაყი იყო. ერთის საათის შემდეგ ამნაირივე დღე დააყენა მეორე სახაზინო არყის დუქანს. პოლიციამ ვერაფერი ვერ მოუხერხა აშფოთებულ ბრბოს. ქალაქში ყველას ეშინოდა ქალაქის სრულიად განადგურებისა და ამისათვის ისპრავნიკმა დეპეშით შეატყობინა ვიტებსკის გუბერნატორს და სთხოვა ჯარის გაგზავნა. მთვრალმა ბრბომ კი ნაშუადღევის 4 საათზე გაანადგურა რამდენიმე კარავი და ტყავის დუქანი. 6 საათზე ვიტებსკიდან მოვიდა ერთი როტა. ყველგან დააყენეს დარაჯები. შემდეგ დღეებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

◆ ამდენხანს ვილნოს სამოსწავლო ოლქის სახალხო სასწავლებლებში, სადაც ლიტველები სცხოვრობენ, ხმარობდნენ რუსულის ასოებით დაწერილ ლიტვურ წიგნებს. ეხლა კი ნება მიუციათ ბეჭდონ პირველ დაწყებით სკოლებში სახმარი წიგნები ლათინურ-ლიტვურ ასოებით.

◆ „ოდესკ. გაზ.“-ის სიტყვით, ხერსონის საგუბერნიო საკრებულოს გაუგზავნია ოდესის მაზრის სასამართლოში ორი საქმე, სოფ. მარინოვკასა და იგნატიევკაში მცხოვრებ 54 გლეხის შესახებ, რომელთაც შტუნდიზმობა ჰბრალდებოდათ და უთხოვნია, უმაღლეს მანიფესტის ძალით გაენთავისუფლებინა ისინი. უმაღლეს მანიფესტის ძალით, შტუნდისტებს აღარ დასჯიან და დიდის ხნის საქმე ამის თაობაზე მოისპო.

◆ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს პეტერბურგში ქალაქის ტრამვაის საქმეები, გადაუწყვეტია დაარსოს ტრამვაის მოსამსახურეთათვის წიგნთ-საცავები, რომლებშიაც, სხვა საზოგადო ხასიათის წიგნების გარდა, იქნება განყოფილება კერძოდ ტრამვაის საქმეების შესახებ.

◆ „იურ.“-ი გადმოგვცემს, რომ ვიტებსკის სამეურნეო საზოგადოებას აღუძრავს კითხვა მიწათ-მოქმედების სამინისტროში დაარსდეს რუსეთში პირველი სახალხო სასოფლო-სამეურნეო კურსები ქალებისათვის. პროექტი ამ კურსებისა უკვე შემუშავებულია.

პატარა ფელეტონი

„ავაზაკობა“ კავკასიაში

შორეულ აღმოსავლეთის ომიანობამ შთანთქა მთელი ყურადღება მკითხველ საზოგადოებისა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია მკითხველს იმ გარემოებისათვის, რომ ამ ბოლოს დროს მეტის-მეტად გახშირდა ამბები თავდასხმისა, ქურდობისა, გაძარცვისა და სხვა „ავაზაკობისა“. ყოველის მხრიდან მოდის ასეთი ამბები, მაგრამ უფრო კი დასავლეთ საქართველოდან. როგორც სხვაგან, ჩვენშიაც ხდებოდა წინად ამ გვარი ამბები, მაგრამ ასე გამწვავებული საქმე არასოდეს არა ყოფილა...

„ერთი ჩვენი მეგობარი წინადაც ჩაუფიქრდება ამ მოვლენას და უებარ ღონისძიებათ დაგვისახა ქართველთა და სხვა კავკასიელ ტომის ახალი თაობა შორეულ აღმოსავლეთში გადავასახლოთ, იქ „სტანიცები“ გავმართოთ და ამით „ხუნხუზებსაც“ დავაწყნარებთ და ავაზაკობასაც მოვსპობთ კავკასიაშიო. იმ დროს, როცა ეს ღონისძიება პირველად გამოიგონა, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა იყო და ამიტომ დიდი ყურადღება ვერ დაიმსახურა ამ შესანიშნავმა აღმოჩენამ. ეხლა სულ სხვაა: იქ საშინელი სისხლის ღვრაა, აქაც ავაზაკობამ იმატა და „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ც მეტად მეტყველურად ამტკიცებს, რომ თუ გვინდა მოვსპოთ ავაზაკობა კავკასიაში, სხვა ღონე არ არის, რაც შეიძლება მეტი ვოლონტერი გავგზავნოთ, შევადგინოთ დრუჟინები და შორეულ აღმოსავლეთში გავგზავნოთო; იქაც დიდ სამსახურს გაგვიწევენ, და კავკასიაც დამშვიდდება, რაკი ეს სისხლ მოწყურებული ელემენტი მოშორდებაო.

მოსკოველ გაზეთის აზრთა ახირებულობა კარგა ხანია ცნობილია და მაინც და მაინც დიდ უსიამოვნებას არ იწვევს: ადამიანი ისეთი ცხოველია, რომ ყველაფერს შეეჩვევა ხოლმე.

მხოლოდ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს შემდეგ გარემოებას: გაზეთ „კავკაზ“-ს მოჰყავს მოსკოველ გაზეთის აზრი და თავის სრულ თანხმობას უცხადებს.

ნუ თუ „კავკაზ“-იც ისე „საბუთიანად“ იცნობს ჩვენ ქვეყანას, როგორც მოსკოველი გაზეთი? ნუ თუ ამ ორგანომ არ იცის უკიდურესი მდგომარეობა სოფლელებისა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში? „კავკასიის ბევრ უღრან ადგილებსა და ხეობებში ეხლაც გამეფებულია პირვანდელი შეხედულება უფლებრივ დამოკიდებულებაზე. თანახმად ამ შეხედულებისა, ავაზაკობა სულ ცოტათი განირჩევა გმირობისაგან; ავაზაკი იგივე „ჯიგიტია“. კავკასიური ავაზაკობა არ არის ნორმის შეგნებული დარღვევა, ბნელ ინსტინქტებში ჩაფლული; იგი ნარჩენია პირვანდელ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა, რომელთა დახასიათება საუკეთესოდ შეიძლება შემდეგის ფორმულით—bellum omnium contra om[ne]s (ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ)“, სწერს „[illegible]“-ი მე 284 ნომერში.

[მო]ხსენებული რედაქცია მეოცე საუკუნის დასაწყისში მარლინსკისეულ აზრებს იმეორებს! ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იყო ყალბად მიჩნეული ასეთი შეხედულება კავკასიაზე, და დღეს ხომ კავკასიაში სრულიად სხვა სოციალ-ეკონომიური პირობებია, რომ კიდევ შეიძლებოდეს ამ ცალიერ, უთავად უშინაარსო ფრაზების გამეორება. მართლა ის ფაქტი რადა ღირს, რომ „ავაზაკობა“ სწორედ იქ გაძლიერდა, სადაც არც უღრანი ადგილებია და არც მიყრუებული ხეობები, სადაც ხალხმა დიდი ხანია თავი დაანება ძველ პატრიარქალურ ცხოვრებას და ახალშია ჩაბმული.

ყველა ეს „კავკაზ“-მა უკეთ უნდა იცოდეს და მით უფრო გვიკვირს, რომ რთულისა და მძიმე მოვლენის ასახსნელად შაბლონურ, გაცვეთილ სიტყვებს ხმარობს.

სასამართლო

ბოროტ-მოქმედებანი სამსახურის დროს

25 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქეთა მოურავად ნამყოფის ისაია ივანეს ძის აბრამოვისა, მოქალაქეთა გამგეობის საქმის მწარმოებლის ნიკოლოზ არტემის ძე რევაზოვისა და გადამწერის დიმიტრი ანტონის ძე კულიშოვისა, რომელთაც სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდათ. 1895 წლის 27 დეკემბერს მოქალაქეთა გამგეობის ბუხჰალტერს აბრამ ხაზარენკოს გუბერნატორისათვის თხოვნა მიუცია და უცნობებია, გამგეობაში აბრამოვის წყალობით ბევრი ბოროტ მოქმედება ხდებაო. გუბერნატორს რევიზიის მოხდენა და საქმის გამოძიება მიუნდვია საგანგებო საქმეთა მოხელის თავ. ბებუთოვისათვის. თავ. ბებუთოვს გამოურკვევია, რომ აბრამოვი თავის სურვილით სცვლიდა მოქალაქეებზე გაწერილ ფულის რაოდენობას; მოქალაქეთა დეპუტატების დაუკითხველადაც აბრამოვს შემოუღია ახალი წესი გამგეობაში. ამ წესის ძალით, ყველა იმას, ვინც დაბადების მოწმობის პირს მიიღებდა, უნდა გადაეხადა 50 კაპ. და ეს ფული აბრამოვის განკარგულებით გასამრჯელოდ ეძლეოდათ გამგეობის მოხელეებს და სხვ. აბრამოვი და ზემოდ აღნიშნული ორი მოხელე საგუბერნიო ადმინისტრაციას პასუხის გებაში მიუცია და საქმე გამომძიებლისათვის გადაუცია. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, აბრამოვს ჩაუდენია შემდეგი ბოროტმოქმედებანი 1892 წლიდან 1895 წლამდე: ანდრია შიოევზე შეწერილი ფული 14 მანეთამდე შეუმცირებია, სეროპ გარდასანიძის ნედოიმკა—5 მანეთამდე, ხოლო ნედოიმკები 1884—1894 წლისა სრულიად მოესპოა. გიორგი ვარნაზოვის გადასახადი 22 მან. შეუმცირებია; ნედოიმკები შეუმცირებია აგრეთვე პავლე ჩუბუკიძისათვისაც. აბრამოვს ამგვარად გაუკეთებია საქმე. ლიამინცევის ვართანოვისა, სარუხანოვისა, პროცენკოსა, თედოროვიჩისა, სარუხანოვისა და სხვათათვის. სამაგიეროდ, გადასახადების რაოდენობა გაუდიდებია და ნედოიმკები კუთვნილზე მეტი შეუწერია პეტრე ტელიასა, გრიგოლ ბექაშვილისა, ნიკოლოზ ლაბაძისა, იპოლიტე რილსკისა, იოსებ კალობრიასა, სიმონ მახარობელიძისა და სხვათათვის. ამ გადასახადების შესახებ ცნობები წიგნებში ზოგან თვით აბრამოვს ჩაუწორებია თავისის ხელით, ზოგან რევაზოვსა და კულიშევს. გამოძიების დროს ისაია აბრამოვს წარუდგენია მოქალაქეთა დეპუტატების 1893 წ. 16 ნოემბრის ყრილობის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დეპუტატებმა ვითომდა ნება დართეს აბრამოვს თავის შეხედულებისამებრ შეეწერა გადასახადები მოქალაქეთათვის. ამ გადაწყვეტილების ოქმზე ხელი უწერია 34 დეპუტატს და შემდეგ თვით ბრალდებულთ. გამომძიებლისათვის ამავე დროს განცხადება გადაუციათ ბუხჰალტერს ნაზარენკოსა და სიმონ მახარობლიძეს. ესენი სწერდნენ, რომ მოქალაქეთა დეპუტატებს ასეთი რამ არ დაუდგენიათ და ოქმი ყალბია, არც ხელი მოუწერიათ იმაზედ დეპუტატებსაო. გამოძიებით გამორკვეულა, რომ 16 ნოემბერს ყრილობას დასწრებია 42 დეპუტატი. ყრილობას უარი უთქვამს აბრამოვისთვის, ნებასა არ მოგცემთ, რომ შენის სურვილით გააწერა ხოლმე გადასახადებიო. ოქმზე არც ერთს ხელი არ მოუწერია და ამ გვარად ოქმი შეუნახავთ შკაფში. შემდეგ, 1896 წელს-კი აღმოჩნდა, რომ ოქმზე ხელი მოუწერია 34 დეპუტატს. იმათგან ვისაც ხელი უწერია, 1893 წლის 16 ნოემბრის ყრილობას 15 დეპუტატი არც-კი დასწრებია. ზოგი დეპუტატები, ვისაც ოქმზე ხელი უწერია, იმ წელს სულ არ ყოფილა ამორჩეული და მხოლოდ შემდეგ მოჰყვედრიან დეპუტატთა რიცხვში. გამოკითხვის დროს დეპუტატებს უთქვამს, რომ აბრამოვი კრებას მოახდენდა ხოლმე დილის 10-დან ნაშუადღევის 4 საათამდე; კრების დასრულებისას ხელად მოგვიტანდნენ 40—50 ოქმს ხელ მოსაწერად და შინაარსსაც არ გვატყობინებდნენო. გამოძიებას ისიც გამოურკვევია და მოწმეთაც უთქვამთ, რომ აბრამოვს სამსახურის პირველ დღეებიდანვე 50 კაპ. გადასახადი დაუწესებია იმათზე, ვისაც დაბადების მოწმობის პირი გაჰქონდა. ამით შემდგარ თანხას აბრამოვი თავის სურვილისამებრ გასამრჯელოდ აძლევდა მოხელეებს. 1895 წლის 2 აგვისტოს გამგეობაში მისულა მოქალაქის ქალი მარინა ბუგულსკისა და უთხოვნია პასპორტი. თუმცა ქალისათვის, როგორც გათხოვილისათვის, რომლის ქმარიც ტფილისის მოქალაქედ არა ყოფილა, პასპორტის მიცემა არ შეიძლებოდა, მაგრამ ბრალდებულთ კულიშოვსა და რევაზოვს ფული მოუთხოვნიათ, აბრამოვსაც ნება დაურთავს, შემდეგ აუღიათ 8 მანეთი და როგორც ქალწულ ქალისათვის, პასპორტი მიუციათ.

როგორც გამოძიების დროს, ისე სასამართლოშიაც ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ აღიარეს. რევაზოვმა და კულიშოვმა განაცხადეს, ჩვენ, როგორც უმცროსი მოხელენი, ვასრულებდით აბრამოვის ბრძანებასა. აბრამოვმა განაცხადა, ჩემის სურვილით, მე მხოლოდ რილსკის შევუცვალე ნედოიმკების რაოდენობა, დანარჩენთა შესახებ მოქმედებდი დეპუტატთა ყრილობის დადგენილების ძალით. სასამართლომ ამ საქმის გამო გამოკითხა 15 მოწმე. დეპუტატებმა ის გაიმეორეს, რაც გამოძიების დროს უთქვამთ. ბრალდებულებს იცავდნენ ნაფ. ვექილი მ. ო. გრუზენბერგი, ნაფ. ვექილის თანაშემწე კ. ი. ჯაფარიძე და ტერ-მინასოვი, ხოლო გამოძიების მხრივ სამოქალაქო მოსარჩელე ზარალის გადასახდევინებლად იყო ნაფიცი ვექილი ბებუტაშვილი. სასამართლო გარჩევას მოუნდა 25 ოქტომბერს [illegible]მდე. გუშინ 26 ოქტომბერს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი. სასამართლომ დამნაშავედ იცნო: სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ბრალდებულნი აბრამოვი, ბუხჰალტერი რევაზოვი და გადამწერი კულიშოვი.

წერილები

—

სოფ. თამაკონი (სამეგრელო). ქონებრივმა დაქვეითებამ და სივიწროვემ სოფლებში გამოიწვია ბევრი ცუდი საქმე. დღე დღეზე მატულობს ქურდობა, გლეჯა-ძარცვა, თავდასხმა და კაცის კვლაც. აი, მაგალითად, თამაკონის ახლო მდებარე სოფელ კიწიაში მდგომარე თვის 19-ს ღამე მოჰკლეს დასახლებულ სოფლის მკვიდრი გრიგოლ ჩიჩიბაია. ჩიჩიბაია სახლში ვახშმობდა. ამ დროს ძაღლების ყეფა მოესმა და გარეთ გავიდა. ბოროტ-განმზრახველნი კარებთან აივანზე შეეჩეხნენ და ერთმა მძიმედ მუცელში დასჭრა. ჩიჩიბაია შეძლებული ვაჟკაცი იყო, თავის დამჭრელს რევოლვერი წაართვა და მოწინააღმდეგე ფეხ-ქვეშ ჩაიგდო, მაგრამ მაშინ სხვები მასცვივდნენ და მოჰკლეს. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. ფულებით არაფერი არ წაუღიათ. ფიქრობენ, ინტერესითა და შურის ძიებით მოჰკლესო.

ტეხურის-პირელი

—

სოფ. ლიხაური (გურია). ათი წელიწადი იქნება, რაც ერთ კლასიანი სასწავლებელი ორ კლასიანად გადავაკეთეთ. ეხლა ამ სასწავლებელთან გახსნა სამეურნეო განყოფილება და ამან მთელი საზოგადოება წაახალისა. დღემდის ოთხმოცი მოსწავლე ძლივს დადიოდა და დღეს-კი მოსწავლეთა რიცხვი ას ოთხმოცს აღემატება. ზედამხედველმა სკოლისამ ოცამდე ქალიც მიიღო. 21-ს ოქტომბერს ლიხაურის კანცელარიაზე ყრილობა მოხდა. ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, თუ საქალებო სასწავლებელს დააარსებთ, ვიშუამდგომლებ, რომ ხაზინამ თავის ხარჯით მასწავლებელი ქალი დაგინიშნოთო. სკოლის შენობა სოფელმა უნდა ააგოს. საზოგადოებამ დაადგინა, თუ ხაზინის ხარჯით დაინიშნება მასწავლებელი, იქირაოს დროებით სახლი და მერე-კი ახალი შენობა ააგოს. **ნიაბაურელი.**

—

კავკავი. როგორც მოეხსენება მკითხველს, კავკავის ქართული სკოლა ინახება უმთავრესად ადგილობრივ ქართველ საზოგადოების ხარჯით. საწევრო ფულს გარდა იკრიბება შემოწირულება, იმართება სახალხო სეირნობები, საღამოები, ქართული წარმოდგენები და სხვა. საწუხაროდ, ამ ბოლო დროს საქმე ვერ მიდის კარგად. არც კერძო შემოწირულებანი სჩანს სკოლისათვის და სახალხო სეირნობაც ისეთ დროს გამართეს, როდესაც ძალიან აცივდა, ამიტომ შემოსავალი კვლავინდებური არა ყოფილა. ამ ჟამად უფულობით სკოლა ძალიან შეწუხებულია და უნდა ეშველოს რამე. ვერ იქმნა და ვერ შეთანხმდნენ სამზრუნველო კომიტეტის წევრნი. არავინ კისრულობს კომიტეტის თავმჯდომარეობას.

გულ-შემატკივარი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 ოქტომბერი

ბერლინი, 25 ოქტომბერი. „ლოკალ ანცაიგერ“-ს აუწყებენ მუკდენიდან, რომ იაპონელებმა სროლა აუტეხეს რუსების რედუტს შანუიხის სამხრეთით. რუსის სამორიგო ბატარეამ გაანადგურა სოფელი იუდლაძი შახეპუს სამხრეთით, ერთი ვერსის მანძილზე. ჩინურ წამოსასხამების მაგიერ, რომელთაც რუსის სალდათები ატარებდნენ, ეხლა იმათ შინელებს ურიგებენ, რომელიც თან და თან მოსდით. უკანასკნელ კვირის განმავლობაში საზოგადოდ გაუმჯობესდა რუსის ჯარის გამოწყობა საჭირო ნივთებით. წითელი ჯვრის დაწესებულებათ ფული შემოაკლდათ.

ჩიფუ, 25 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი“). ცხარე იერიშისა და იაპონელთა საოცარ მამაცობის მიუხედავად, პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმს ნაყოფი არა ჰქონდა. იაპონელებს თვალსაჩინო ზარალი მოუვიდათ. ერლუნგშანს უკან რუსებს სხვა ბატარეები აქვთ და იაპონელებმა თუნდაც რომ დაიჭირონ აღმოსავლეთის სიმაგრეები, სტესელი ლიაოტეშანს შეინარჩუნებს: ვიდრე ეს ნახევარ კუნძული რუსების ხელში იქნება, იაპონელები პორტ-არტურს ვერ გამოიყენებენ.

ვლადივასტოკი, 26 ოქტომბერი. ვლადივასტოკის ნავთსადგურის უფროსი ადმირალი გაუპტი დაინიშნა ბალტიის ესკადრის უმცროს ფლაგმანად. გაუპტის მაგივრად წითლის ჯვრის რწმუნებულად ვლადივოსტოკში დაინიშნა გრაფი შერემეტიევი. წავიდა აქედან გენერალი არტამანოვი, რომელიც მე-6 დივიზიის უფროსად დაინიშნა. არტამანოვი უფროსი იყო ადგილობრივ დრუჟინისა, რომლის შედგენაშიაც დიდი მონაწილეობა მიიღო. იყო აგრეთვე თავმჯდომარედ სასანიტარო კომისიისა, რომელმაც დიდი სარგებლობა მოიტანა. გენერალს დიდი სახელი აქვს, როგორც გულ კეთილ უფროსს.

პეტერბურგი, 26 ოქტომბერი. ბრძანება გამოცემული, მობილიზაცია მოახდინონ და ვლადივასტოკს გაგზავნონ მეციხოვნე არტილერიის ბატალიონები. მეორე ბატალიონი სევასტოპოლისა და მეექვსე კრონშტადისა; ეს ბატალიონები უნდა შეკრებულ იქმნან სამხედრო წესით სათადარიგო ჯარის აფიცრებისა და სალდათების გაწვევით. ებრძოლათ პორტ-არტურში იაპონელებთან ბრძო-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2649.

ლის დროს მამაცობისათვის წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენები: გენერალ ლეიტენანტებ, აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა დივიზიების უფროსებს: მე-4 დივიზიისა—ფოკს, მეშვიდესი—კონდრატენკოს, ციმბირის მე-3 კორპუსის არტილერიის უფროსს ნიკიტინს, მე-4 კორპუსის არტილერიის უფროსს; ციმბირის პოლკის უფროსებს: მეხუთესი—ტრედიაკოვს, მე-27—რეისს, ციმბირის მე-7 საარტილერიო დივიზიონის უფროსს—მეხმანდაროვს; პოლკოვნიკებს: მე-27 ციმბირის პოლკისა—პეტრაშს; კვანტუნის მეციხოვნე არტილერიის პრაქტიკულ სამუშაოთა გამგეს—ტახტეელოს; პოდპოლკოვნიკებს: საგენერალო შტაბის ოფიცერს ციმბირის მე-3 კორპუსში მყოფ განსაკუთრებულ მინდობილებათა შტაბ-ოფიცერს—იოლშინს; აღმოსავლეთ ციმბირის პოლკების პოდპოლკოვნიკებს: ტიშკევიჩს და ლისაევსკის. ბატარეის უფროსებს: ციმბირის მსროლელთა არტილერიის მეოთხე ბრიგადის მესამე ბატარეისას—რომანოვსკის, ციმბირის არტილერიის მეშვიდე დივიზიონის პირველ ბატარეისას ცობროვს, კაპიტნებს: ციმბირის მსროლელთა მე-26 პოლკისას—კირილენკოსა და ლავროვს, ციმბირის არტილერიის მე-7 დივიზიონისას—სკრიდლოვსა და ცვეტკოვს, კვანტუნის ციხის არტილერიისას—ვახნევს და ანდრეევს. სამხედრო სამოსამართლო თანამდებობის კანდიდატს კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოს პროკურორთან—ველიამინოვს. ციმბირის მსროლელთა მე-15 პოლკის შტაბს-კაპიტანს როჟანსკის. პორუჩიკებს: ფინლიანდიის პოლკისას ციმბირის მსროლელთა მე-27 პოლკში დროებით ჩარიცხულს—სტარიკოვს, მსროლელთა მე-13 პოლკისას—აფანასიევს და იასოვიჩს, ციმბირის არტილერიის მე-4 ბრიგადისას—გლებოვიჩსა და პოლონსკის, ციმბირის არტილერიის მე-7 დივიზიონისას—ბოიეს. ციმბირის მსროლელთა პოლკების პოდპორუჩიკებს: მის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის მე-12 პოლკისას—მიულბერგს, ლეონტიონოვს და ვლადიმიროვს. ებოძათ სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა: პორტ-არტურის ციხის კომენდანტს გენერალ-ლეიტენანტს სმირნოვს, კვინტუნის საციხე არტილერიის უფროსს გენერალ-მაიორ ბელის. ებოძათ ანნას ორდენი პირველის ხარისხისა: გენერალ-ლეიტენანტებს: პორტ-არტურის ციხის კომენდანტს სმირნოვს, აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მეოთხე დივიზიის უფროსს ფოკსა, გენერალ-მაიორებს: ციმბირის მსროლელთა დივიზიის პირველ ბრიგადის უფროსს გორბატოვსკის, კვანტუნის საციხე არტილერიის უფროსს ბელის. ებოძათ სტანისლავის ორდენი პირველის ხარისხისა: ციმბირის მსროლელთა მეოთხე დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს ნადეინს, ციმბირის მსროლელთა მეშვიდე დივიზიის პირველ ბრიგადის უფროსს გენერალ-მაიორ გორბაკოვსკის. ებოძათ ვლადიმირის ორდენი მესამე ხარისხისა გენერალ-მაიორებს: ციმბირის მსროლელთა მე-14 პოლკის უფროსს სავიცკის, ციმბირის არტილერიის მე-4 ბრიგადის უფროსს ირმანს.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალის სახაროვისა. 25 ოქტომბერს: „24 ოქტომბერს ჩვენმა რაზმმა, რომელთაც ეჭირათ სოფელ ლინშიპუს ჩრდილოეთი უბანი, წინ წაიწია და დაიჭირა სასაფლაო. ჩვენმა რაზმმა დაიჭირა სოფლის ჩრდილოეთი ნაწილი. ჩვენებ დარჩათ იაპონელთა რამდენიმე თოფი. მორშანის პოლკის უნტერ ოფიცრის გვამი, რომელიც ლინშიპუში იპოვნეს, დაავმოჭრილი აღმოჩნდა. თავი უთუოდ მოსჭრეს ხუნხუზებმა, რომელნიც იაპონელებთან მსახურებენ. 24 ოქტომბრის ღამეს ჩვენი ბატარეა ყუმბარებს უშენდა სოფლებს კუდიაზას, ნაგანზას, გაილინძას, კუდიაზას აღმოსავლეთით, ორი ვერსის მანძილზე, როგორც ჩვენ მეომრებს შეუნიშნავთ, ჩვენმა ყუმბარებმა ძალიან შეაშფოთა იაპონელები. ზოგიერთ თხრილებს იაპონელებმა თავი მიანებეს. 25 ოქტომბერს ტომბორიდან დღევანდლამდენ არ მიგვიღია მოხსენებები ბრძოლის შესახებ.“

მუკდენი, 26 ოქტომბერი. გუშინდელმა დღეს და ღამემ წყნარად ჩაიარა, დღეს ისევ თბილი ამინდი დადგა.

ჩიფუ, 26 ოქტომბერი. გუშინ იაპონელები ხელ-ახლად ეცადნენ ლიაოტეშანის ტრანშეების შტურმით აღებას. რუსებმა ყველა იერიში მოიგერიეს. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. საავადმყოფოები დალნიში დაჭრილებითაა სავსე. იაპონელებს ყოველ დღე მოსდით მაშველი ჯარი.

ტუნისი, 26 ოქტომბერი. ბალტიის ესკადრამ 5 ჯავშნიანი და 4 კონტრ-ნაღმიანი გემი ბიზერტაში მოვიდნენ. ეს გემები სუეცის არხში წავლენ.“

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 ოქტომბერი

დალნი, 26 ოქტომბერი („რეიტერი“). „დეილი მეილ“-ი იუწყება, რომ იაპონელე-

ბმა, ამ ბოლო დროს პორტ-არტურ მომხდარ ბრძოლებში 1,100 კაცი და გეს; ამ რიცხვში 500-ზე მეტი მოკლულ

ჩიფუ, 25 ოქტომბერი („რეიტერი“). ჩინელთა ნავებმა კიდევ ერთხელ გაარღვიეს პორტ-არტურთან შემორტყმულ გემების ალყა და 19 ოქტომბერს შეიტანეს იქ სურსათი. ეს სასიხარულო ამბავი ერთმა ჩინელთა ნავმა მოიტანა ჩიფუს, რომელიც პორტ-არტურიდან მოვიდა აქაურ რუსის საკონსულოსთვის გამოგზავნილ ტელეგრაფით. სურსათი რუსის კონსულმა იყიდა ტიანძინში და ტოკიოს იქით რამდენიმე მილის მანძილზე გაჰგზავნა ნავში დასაწყობად. შემოტანილ სურსათს ციხეში მყოფნი ალტაცებით მიეგებნენ. ექვსმა სავაჭრო სახლმა, რომლებმაც პორტ-არტურის ალყის გარღვევა და სურსათის შეტანა იკისრეს, დიდძალი ფული შეიძინეს. სამ ნავიდან ერთს ჩაიგდებენ ხოლმე ხელში იაპონელები. მაგრამ ამ ნავებისაგან, რომელნიც პორტ-არტურში შესვლას ახერხებენ, იმდენი მოგება აქვთ, რომელიც ბევრად აღემატება დაკარგულ ნავების ზარალს. საქონლის გამტან სამ ამერიკელ ფირმას თავისი აგენტები ჰყავს ჩიფუში, რომლებსაც მუდმივი დამოკიდებულება აქვთ რუსეთის კონსულთან. ამ ფირმებმა დიდ-ძალი საქონელი გაჰყიდეს პორტ-არტურში წასაღებად, ციაჩაოს მყოფმა გერმანელთა სამმა სავაჭრო ფირმამ სამი ნავით შეიტანა სამხედრო მასალა პორტ-არტურში.—მოვიდა ინჟინერი, რომელმაც კორეა შემოიარა. იმის სიტყვით, ხამხინს ოთხი ათასი რუსი დგას, რომლებმაც გაამაგრეს ქალაქის ერთი ნაწილი და მუდამ მისვლა-მოსვლა აქვთ ვლადივოსტოკთან. ინჟინერის აზრით, იაპონელების წამოსასხამები და ფეხსაცმელი საკმაოდ ვერ იფარავს იმათ სიცივისაგან, რომელიც ჩრდილოეთ მანჯურიაში მეტად აწუხებს ჯარს.

სტამბოლი, 25 ოქტომბერი („რეიტერი“). დობროვოლნი ფლოტის გემმა „ვორონეჟ“-მა გაიარა ნახშირითა და სურსათით ბოსფორი და ხმელთა შუა ზღვაში წავიდა.

ბალტა. საბჭომ დაადგინა შემწეობა მისცეს ომში მიმავალ სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს სადგომების დასაქირავებლად, გასანათებლად და გასათბობად.

პეტერბურგი. 26 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორი წაბძანდა ცარსკოე სელოდან იმ ადგილებში, საიდანაც ჯარს ჰგზავნიან შორეულ აღმოსავლეთში. ხელმწიფეს ახლავან: საიმპერატორო კარისა და სამხედრო მინისტრები, სასახლის კომენდანტი, კანცელიარიის უფროსი, მისი უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი თავადი ობოლენსკი, ლეიბ-ქირურგი გირში და ფლიგელ-ადიუტანტები—თავადი ორლოვი და დრენტელნი. გატჩინოს სადგურზე საიმპერატორო მატარებელში შემოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს მიჰყვება ჯარების დასათვალიერებლად.

სტამბოლი, 25 ოქტომბერი. მართლდება ის ცნობა, რომ ამას წინად ადრიანოპოლის ვალის არიფ-ფაშის მოკვლა მოიწადინეს. ვალის ადიუტანტი სასიკვდილოდაა დაჭრილი რევოლვერის ტყვიებით.

სოფია, 25 ოქტომბერი. მთავრობამ წარუდგინა კრებას პროექტი კანონისა ავტონომიურ საბაჟო ტარიფის შესახებ.—ბევრს ლაპარაკობენ საარტილერიო საწყობებზე მომხდარ იავდასხმის შესახებ. თოფის სროლა ისმოდა. ხმაურობა მალე შესწყდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დარაჯი მოსტყუვდა,

ვენა, 26 ოქტომბერი. სალზბის ეკლესიაში ანდერძი აუგეს ბადენში გადაცვლილი ბიუცოვს, რომელიც სტოკჰოლმში რუსეთის ელჩად იყო. ამ ღამე ცხედარი პეტერბურგს გაჰგზავნეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში.	94,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89½
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246 „

ბლებისა

ფხოვილუ ოვედ ნაჩვ ვის საათი, ფრჩხილებში—ტფი ისა.

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1
   ღია არის დილით 1 —2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტე ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ექიმი

ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154ა ტელეფონი № 825. (90—296—21)

გამოვიდა და იყიდება

ეგნატე ნინოშვილის

(ინგოროყვა) სრული თხზულება,

წიგნში მოთავსებულია ჯერ არსად დაბეჭდილი ისტორიული რომანი „ხამწუხარო შიდები“, 16 სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა ივანე გომართელისა, მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.

მსურველთ შეუძლიან მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—5,—7)

ამ

ბის მე-77 §-ის ძალით, მდგომარე ეში ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, საზოგადოების სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიყიდება შემდეგი მამულები, რომელიც ბანკს დარჩა:

1. **რიბაკოვი პ. ი.:** მიწის ნაჭერი, ზომით 145 ოთკუთხი საჟენი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფითა და ოთხის ორ-სართულიანის ფლიგელით. მე-10 ნაწილში, პირველ მადაკნების ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 15,377 მან. 83 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—1231 მან. 71 კაპ.

2. **ტერ-პოლოსოვი ო. დ.:** მიწა, ზომით 100 ოთხკ., საჟენი, სამ-სართულიანი სახლი სარდაფითა და მინაშენებით. 1 ნაწილში, უდელნის ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 21,039 მან 02 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—2457 მან. 99 კაპ.

ამ მამულების საჯარო გაჭრობა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც დაასახელებენ მსურველნი, ამასთან საჯარო გაჭრობის დამტკიცება დამოკიდებული იქნება საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებისაგან.

ვისაც გაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, იმან საზოგადოების კასსაში უნდა შეიტანოს ბედ თითო ზემოდასახელებულ მამულის საგარბოდ 500 მან.

თუ მეიდგელი მოისურვებს, შეიძლება იმის სახელზე გადატანილ იქნას ამ მამულების თავნი ვალიც.

საჯარო გაჭრობის დაწვრილებითი პირობები და დასახელებულ მამულების შესახებ ქაღალდები და საბუთები მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში უოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (6—6.—6)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მეთაურობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კ ი ო ს კ შ ი,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ბუთუმა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შედანისა	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა, პროფეს. გ. პეტრაშგოლისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცოცხლითა და მკვდარითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჟვანგულოვისა	1	-

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიის წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(1—3.15) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала **„НАКАДУЛИ“**

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების

„შრომ“-ის

საბჭოს პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ და აგრეთვე ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად და ან აინტერესებს ამ საზოგადოების გარემოების შეტყობა, რომ კვირას, 7 ნოემბერს ამა წელს დილის 10½ საათზედ დანიშნულია **საზოგადოების კრება ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში.** (6.—1)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუეის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო ხაგნების ტელეფონი № 679. (0—177)

Дозволено цензурою, 26 октября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა“

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.